საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების კრებული 2013-2014 წლები.

www.edu.gba.ge
www.gba.ge

თბილისი
2014 წ.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ, 2013 წლიდან, ადვოკატებისათვის დანერგა სარეკომენდაციო მოსაზრებების გაცემის სისტემა. ამას წინ უძღოდა, 2012 წლის 8 დეკემბერს, ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე, ადვოკატთა დისციპლინური სამართალწარმოების დებულებაში შესაბამისი რეგულაციის შეტანა.

ეთიკის კომისიის რეკომენდაციის მიზანია, დაეხმაროს ადვოკატებს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ეთიკური ვალდებულებების შესრულებაში და მოახდინოს შესაძლო დისციპლინური გადაცდომის პრევენცია.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ადვოკატები მიმართავენ წერილობითი შეკითხვით
შემდეგ ელ-ფოსტაზე: ethicsrecommendations@gba.ge
ან ზეპირი შეკითხვით ტელეფონით უკავშირდებიან ცხელ ხაზზე: 2 200 262
ყველა რეკომენდაცია ქვეყნდება ადვოკატთა ასოციაციის საიტზე: **www.gba.ge**

ბროშურა გამოცემულია აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტის მიერ „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. გამოთქმული შეხედულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

სარჩევი:

რეკომენდაციების გაცემა....4

კონფიდენციალურობა....5

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი....22

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი....27

ინტერესთა შეუთავსებლობა....34

კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენების უფლება....38

კლიენტთან ურთიერთობის დაწყების წესი....41

გარანტიების მიცემა საქმის შედეგთან დაკავშირებით....46

კლიენტისათვის კვალიფიციური და კეთილინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება....47

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საქმის მსვლელობისა და საქმის მოსალოდნელი ხარჯების თაობაზე....48

ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის წესი....52

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და შესაბამისი განაკვეთის კლიენტთან წინასწარ შეთანხმება....52

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტა საქმის შეწყვეტის პატივსადები საფუძვლით....57

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტების, ფულადი სახსრების ან სხვა ქონების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება...58

ადვოკატის საქმიანობისას რეკლამირების წესის დარღვევა....59

სასამართლოს ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების დაცვა....68

სასამართლოსთვის ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელი სხვა ორგანოსთვის წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების მიწოდება....72

კოლეგის პატივისცემის ვალდებულება....75

კოლეგიალური ნდობის და თანამშრომლობის ვალდებულება....79

ადვოკატისათვის შეუტყობინებლობა მისი კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების თაობაზე, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას....80

მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაცია მხარის ადვოკატის გვერდის ავლით 81
ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება 87
საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი 90
საადვოკატო საქმიანობის შეჩერების საფუძველი 91
დისციპლინური სამართალწარმოების წესები: 93
ეთიკის კომისიის კომპეტენცია 93
საჩივრით მომართვის დასაშვებობა 93
მხარეთა უფლებები დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში 94
მტკიცებულებათა შეგროვება 96
საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით 96
დისციპლინური სამართალწარმოების ვადები: 97

რეკომენდაციების გაცემა

(ამონარიდი "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ» დებულებიდან, დამტკიცებული ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბრის დამატების სახით)

მუხლი 41. რეკომენდაციის არსი

1. რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2. რეკომენდაცია არ არის ეთიკის კომისიისათვის სავალდებულო. რეკომენდაციაში დაფიქსირებული მოსაზრებით კომისია არ იზღუდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას.

3. რეკომენდაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

მუხლი 42. შეკითხვით მიმართვა

შეკითხვით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ წევრს.

მუხლი 43. შეკითხვის ფორმა

1. შეკითხვით მიმართვა შესაძლებელია ზეპირად ან წერილობით ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

2. შეკითხვა უნდა აღწერდეს ჰიპოთეტურ ფაქტებს, შესაძლო ქმედებას და არ შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტულ პირზე.

მუხლი 44. შეკითხვის რეგისტრაცია

დებულების 43-ე მუხლით დადგენილი წესის დაუცველად წარმოდგენილი შეკითხვა არ განიხილება.

მუხლი 45. შეკითხვის განხილვის წესი

1. შეკითხვა რეგისტრირდება ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

2. წერილობით შეკითხვას, მისი შინაარსის და ამ მუხლის წესების გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გადასცემს კომისიის იურისტს, მორიგე საპროცესო კოლეგიას ან ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

3. წერილობით შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და დადგენილია ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს კომისიის იურისტი.

4. შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს დისციპლინური კოლეგია, რომელიც მორიგეობს საპროცესო კოლეგიის სახით.

5. შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექის ნორმების განმარტებას, არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის პრაქტიკით და საკითხის სირთულით ხასიათდება, რეკომენდაციას მოამზადებს ეთიკის კომისია არანაკლებ რვა წევრის მონაწილეობით.

6. რეკომენდაციის კოლეგიურად მომზადებისას ეთიკის კომისია საბოლოო მოსაზრებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით.

7. რეგისტრირებული შეკითხვის განხილვისას, თუ აღმოჩნდება, რომ ანალოგიურ საკითხზე არსებობს რეკომენდაცია, კომისიას შეუძლია არ გასცეს რეკომენდაცია და მიუთითოს არსებულზე.

8. რეკომენდაცია ეგზავნება ადვოკატს.

9. ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს.

10. შეკითხვის განხილვაზე უარი ეცნობება ადვოკატს.

მუხლი 46. რეკომენდაციის ფორმა

რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს შეკითხვას და დასაბუთებულ პასუხს, ასევე მითითებას, რომ ეთიკის კომისიის რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

მუხლი 47. რეკომენდაციის გაცემის ვადა

რეკომენდაციის გაცემის ვადა არ აღემატება 45 დღეს.

მუხლი 48. ზეპირი რეკომენდაცია და მისი გაცემის წესი

1. ზეპირი რეკომენდაცია არის ეთიკის კოდექსის ნორმეზე, რომელზედაც არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურულ საკითხებზე, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, ამ დებულების ნორმების განმარტება.

2. ზეპირი რეკომენდაცია გაიცემა კომისიის იურისტის მიერ სატელეფონო "ცხელი ხაზის" მეშვეობით.

3. ზეპირი რეკომენდაცია გაიცემა ადვოკატზე, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია ადვოკატთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე

4. კომისიის იურისტი ერთიან რეესტრში ამოწმებს ადვოკატის სახელს, გვარს, პირად №-ს, სიით №-ს, სპეციალიზაციას და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს პასუხს ადვოკატს.

5. ადვოკატსა და იურისტს შორის საუბარი, რაც ეცნობება ადვოკატს საუბრის დაწყებისთანავე, იწერება ტექნიკური საშუალების გამოყენებით და ინახება კომისიის არქივში.

6. იურისტი უფლებამოსილია ადვოკატის შეკითხვა ჩაიწეროს და რეკომენდაცია გასცეს შეკითხვის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 05 სამუშაო დღისა.

7. იურისტი არ უპასუხებს შეკითხვებს, რომელიც გამოქვეყნებულია ხშირად დასმული კითხვების სახით.

მუხლი 49. კონფიდენციალობა

რეკომენდაციის მომთხოვნი ადვოკატის ვინაობა რეგისტრირდება და ინახება ეთიკის კომისიის მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომია მხოლოდ ეთიკის კომისიისათვის.

მუხლი 50. რეკომენდაციის საჯაროობა

წერილობითი რეკომენდაცია საჯაროა, ადვოკატის იდენტიფიცირების გარეშე და ქვეყნდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, ასევე, ასოციაციის პერიოდულ გამოცემაში.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული ზეპირი და წერილობითი რეკომენდაციები

კონფიდენციალურობა

ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.12.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/13
შეკითხვა:

უნივერსიტეტის კლინიკის ადვოკატს უფასო იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართა ბატონმა x-მა. მას კონსულტაციის მიღება სურს იმ დავაზე, რომელშიც x წარმოადგენს ამხანაგობის რამდენიმე წევრს. ამავე დავაში ამხანაგობის დანარჩენი წევრების წარმომადგენელი არის ქალბატონი y. X და y ერთად მუშაობენ ამხანაგობის საერთო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა სავარაუდოა, რომ არც y-მა და არც ამხანაგობის სხვა წევრებმა არ იციან იმის შესახებ, რომ x-მა მიმართა უნივერსიტეტის კლინიკის ადვოკატს კონსულტაციისთვის. მოთხოვნილი კონსულტაციის ფარგლებში კლინიკის ადვოკატს მოუწევს y-ის მიერ ამხანაგობის წევრებისთვის გაწეული კონსულტაციისა და ამასთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა მოქმედებების შეფასება და შესაბამისი რჩევის მიცემა x-სათვის.

1. რამდენად ეთიკური იქნება კლინიკის ადვოკატის მიერ X-ისთვის კონსულტაციის გაწევა ამ შემთხვევაში?

2. საჭიროა, თუ არა, რომ კლინიკის ადვოკატმა განახორციელოს რაიმე ქმედება Y-ის ან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ X-მა მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №044/10, დაადგინა: **„კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა ასევე გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“**

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №094/11, დაადგინა: **„კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან**

პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“

იურიდიული კლინიკისთვის კონსულტაციის გაცემა ადვოკატის მიერ ექვემდებარება პროფესიული ეთიკის ნორმებით რეგულირებას. შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს ადვოკატმა სად გასცა კონსულტაცია, ოფისში თუ მის ფარგლებს გარეთ. მთავარი საკითხია, წარმოიშვა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. თუ წარმოიშვა ამგვარი ურთიერთობა, ადვოკატი, ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პუნქტი 1.-ის შესაბამისად, ვალდებულია „დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს“.

კონფიდენციალურობა დროში შეუზღუდავი ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პუნქტი 2), რომლიდანაც გამონაკლისი არის კანონმდებლობა და პროფესიული ეთიკის ნორმები.

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება.

განსახილველი შეკითხვიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ადვოკატმა გასცა კონსულტაცია X -ზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შორის დაიწყო ადვოკატ- კლიენტის ურთიერთობა. მაშასადამე, წარმოიშვა თანამდევი ეთიკური ვალდებულებებიც.

კონფიდენციალობა მაღალი სტანდარტია, ამიტომ კლიენტი თუ დარწმუნებული არ არის მის მიერ მიწოდებული ან მის საქმეზე ნებისმიერი ინფორმაცია არ იქნება ადვოკატის მიერ სათანადოდ დაცული, მაშინ საზოგადოდ ნდობის პრინციპიც საფრთხის ქვეშ დგება (ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი).

ამ შემთხვევაში ადვოკატი, X -სთვის გაცემული კონსულტაციისას ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას. მას არ ევალება, მეტიც უფლებამოსილი არ არის, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი სხვა წევრისთვის X -ის თანხმობის გარეშე. თუნდაც ეს პირი, ამ შემთხვევაში ადვოკატი Y, მონაწილეობას იღებდეს X-თან ერთად ერთ საქმეში. ასევე, მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ინფორმაცია იქნა მიწოდებული. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან (ჩვენს შემთხვევაში ამხანაგობის ერთ-ერთი ადვოკატისგან).

ასევე, **ადვოკატს შეუძლია შეაფასოს y-ის მიერ განხორციელებული მოქმედებები, რაც უნდა მოხდეს კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის პრინციპის ფარგლებში.**

განსახილველ შეკითხვის ფარგლებში შეგვიძლია ვიმსჯელოთ და განვმარტოთ, რომ იურიდიული კლინიკის ზედამხედველი ადვოკატის მიმართ, ამ უკანასკნელის სტატუსიდან გამომდინარე, მოქმედებს პროფესიული ეთიკის ნორმები.

დასკვნა:

ადვოკატი არ არის უფლებამოსილი, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი სხვა პირისათვის კლიენტის თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს მიმართა კონკრეტულმა კლიენტმა დაცვის მიზნით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, კლინიკის ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება Y-ის ან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ X-მა მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად. ასევე, ადვოკატს შეუძლია შეაფასოს სხვა პირის მიერ წარმომადგენლობის პროცესში განხორციელებული მოქმედებები ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის პრინციპის ფარგლებში.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.08.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/13

შეკითხვა:

ხომ არ ექნება ადგილი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რომელიმე ნორმის დარღვევას იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი კლიენტის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადებს შემდეგ ინფორმაციას და ის გამოქვეყნდება, როგორც ადვოკატის მიერ ციტირებული შემდეგი ფრაზები: "ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, უდანაშაულო ადამიანს ყალბი საბუთების საფუძველზე მოუხდა ერთი წელი ყველასთვის ცნობილ პირობებში - ციხეში ყოფნა. მიუხედავად ამისა, როგორც ქრისტიანმა - დაზარალებულმა მათ შეუნდო დანაშაული. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს დანაშაული მომდინარეობდა ზედა დონეებიდან".

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით “ადვოკატი ვალდებულია: ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. 2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი:“ კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი: „ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: “ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის“.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3.1 მუხლი: „ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა...“

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 დაადგინა: **„კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან,**

კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ, საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, კლიენტის შესახებ, გაკეთებულია იმგვარი შეფასებები როგორიცაა: "ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, უდანაშაულო ადამიანს ყალბი საბუთების საფუძველზე მოუხდა ერთი წელი ყველასთვის ცნობილ პირობებში - ციხეში ყოფნა. მიუხედავად ამისა, როგორც ქრისტიანმა - დაზარალებულმა მათ შეუნდო დანაშაული...“

მოცემულ შემთხვევაში, **ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის მიმართ ამგვარი შეფასებები შესაძლოა არღვევდეს კონფიდენციალობის პრინციპს, ვინაიდან მოცემული განცხადება წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას და ადვოკატს ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება.**

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ კლიენტის თანხმობის გარეშე ადვოკატს არ აქვს უფლება გაავრცელოს პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, თუ კლიენტმა განაცხადა თანხმობა გაევრცელებინა მის შესახებ განცხადებაში მოცემული ინფორმაცია, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს ჰქონდა უფლება თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის შესახებ განეცხადებინა, რომ მან ჩაიდინა „საშინელი დანაშაული“. კლიენტის თანხმობის გარეშე ადვოკატის მიერ ამგვარი შეფასებების გაკეთება არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატი კლიენტის თანხმობის გარეშე მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, მოქმედებს არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ უფრო მაღლა აყენებს პირად ინტერესს ან სხვა პირთა ინტერესებს და შესაბამისად, კონფიდენციალობის პრინციპთან ერთად არღვევს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის თანხმობის გარეშე აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც წარმოადგენს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას და რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადება, იმის შესახებ, რომ მისმა კლიენტმა ჩაიდინა „საშინელი დანაშაული“, წარმოადგენს ადვოკატის პროფესიულ საიდუმლოებას, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შესახებ ადვოკატს არ ჰქონდა მიღებული კლიენტისაგან თანხმობა, ადვოკატს ეკისრებოდა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. მას შეეძლო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.10.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 019/13

შეკითხვა:

ადვოკატმა კლიენტთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატმა კლიენტისგან შეიტყო, რომ იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზედაც ადვოკატი ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, კლიენტს ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაული. ადვოკატმა კლიენტის თანხმობით შეწყვიტა მომსახურების ხელშეკრულება.

ეკისრება თუ არა ადვოკატს ვალდებულება სამართალდამცავ ორგანოებს აცნობოს კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ? მოედავებიან თუ არა ადვოკატს პროკურატურა-პოლიცია დანაშაულის დაფარვასა და განუცხადებლობაში? კლიენტს ხომ არ უჩივლებს ადვოკატი?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, “ადვოკატი ვალდებულია : ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. 2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი:“ კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი: „ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: “ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის“.

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ადვოკატის კლიენტთან ურთიერთობა ემყარება ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №112/11დაადგინა: **„კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარის სასარგებლო ინფორმაცია და საყურადღებო დეტალი არ იყოს ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტისაგან მოიპოვებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.“**

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 დაადგინა, **„კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.“**

ეთიკის კომისიამ 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №142/12 აღნიშნა, რომ **„სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას უნდა განახორციელონ დაცვის უფლება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით...“**

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ეთიკის კოდექსის მე–4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას. ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს როგორც უშუალოდ საქმეს, ასევე, იყოს ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის მიერ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის**

შესახებ. ადვოკატისათვის კონფიდენციალური ინფორმაცია შესაძლებელია ცნობილი გახდეს უშუალოდ კლიენტისაგან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან, პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ისეთი სახის ინფორმაციას, რაც კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენას ეხება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა შეიტყო საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს ასეთი ინფორმაცია, მათ შორის არ მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს. **ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც ადვოკატი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, რადგან კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.**

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, **ადვოკატის მიერ კლიენტის შესახებ ინფორმაციის (მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ) გაუმჟღავნებლობა ნებისმიერი მესამე პირისთვის, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, შეუძლებელია ეს ქმედება განხილულ იქნას, როგორც დანაშაულის დაფარვა ან დანაშაულის შეუტყობინებლობა.** ამასთან, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს პროკურატურისა და პოლიციის შესაძლო ქმედებებზე, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ისეთ საკითხზე, როგორიცაა ადვოკატის დასმული შეკითხვა – შესაძლოა თუ არა ადვოკატს მოედავოს სამართალდამცავი ორგანო იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მათ არ მიაწოდებს ინფორმაციას კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“

დასკვნა:

ადვოკატს ეკისრება ვალდებულება არ გაამჟღავნოს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია. ადვოკატს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. ადვოკატს შეეძლო კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ გაევრცელებინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.12.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/13

შეკითხვა:

უნივერსიტეტის კლინიკის ადვოკატს უფასო იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართა ბატონმა x-მა. მას კონსულტაციის მიღება სურს იმ დავაზე, რომელშიც x წარმოადგენს ამხანაგობის რამდენიმე წევრს. ამავე დავაში ამხანაგობის დანარჩენი წევრების წარმომადგენელი არის ქალბატონი y. X და y ერთად მუშაობენ ამხანაგობის საერთო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა სავარაუდოა, რომ არც y-მა და არც ამხანაგობის სხვა წევრებმა არ იციან იმის შესახებ, რომ x-მა მიმართა უნივერსიტეტის კლინიკის ადვოკატს

კონსულტაციისთვის. მოთხოვნილი კონსულტაციის ფარგლებში კლინიკის ადვოკატს მოუწევს y-ის მიერ ამხანაგობის წევრებისთვის გაწეული კონსულტაციისა და ამასთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა მოქმედებების შეფასება და შესაბამისი რჩევის მიცემა x-სათვის.

1. რამდენად ეთიკური იქნება კლინიკის ადვოკატის მიერ X-ისთვის კონსულტაციის გაწევა ამ შემთხვევაში?

2. საჭიროა, თუ არა, რომ კლინიკის ადვოკატმა განახორციელოს რაიმე ქმედება Y-ის ან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ X-მა მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №044/10, დაადგინა: **„კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა ასევე გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“**

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №094/11, დაადგინა: **„კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“**

იურიდიული კლინიკისთვის კონსულტაციის გაცემა ადვოკატის მიერ ექვემდებარება პროფესიული ეთიკის ნორმებით რეგულირებას. შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს ადვოკატმა სად გასცა კონსულტაცია, ოფისში თუ მის ფარგლებს გარეთ. მთავარი საკითხია, წარმოიშვა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. თუ წარმოიშვა ამგვარი ურთიერთობა, ადვოკატი, ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პუნქტი 1.-ის შესაბამისად, ვალდებულია „დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს“.

კონფიდენციალობა დროში შეუზღუდავი ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პუნქტი 2), რომლიდანაც გამონაკლისი არის კანონმდებლობა და პროფესიული ეთიკის ნორმები. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება.

განსახილველი შეკითხვიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ადვოკატმა გასცა კონსულტაცია X -ზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შორის დაიწყო ადვოკატ- კლიენტის ურთიერთობა. მაშასადამე, წარმოიშვა თანამდევი ეთიკური ვალდებულებებიც.

კონფიდენციალობა მაღალი სტანდარტია, ამიტომ კლიენტი თუ დარწმუნებული არ არის მის მიერ მიწოდებული ან მის საქმეზე ნებისმიერი ინფორმაცია არ იქნება ადვოკატის მიერ სათანადოდ დაცული, მაშინ საზოგადოდ ნდობის პრინციპიც საფრთხის ქვეშ დგება (ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი).

ამ შემთხვევაში ადვოკატი, X -სთვის გაცემული კონსულტაციისას ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას. **მას არ ევალება, მეტიც უფლებამოსილი არ არის, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი სხვა წევრისთვის X -ის თანხმობის გარეშე. თუნდაც ეს პირი, ამ შემთხვევაში ადვოკატი Y, მონაწილეობას იღებდეს X-თან ერთად ერთ საქმეში**. ასევე, მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ინფორმაცია იქნა მიწოდებული. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან (ჩვენს შემთხვევაში ამხანაგობის ერთ-ერთი ადვოკატისგან).

ასევე, ადვოკატს შეუძლია შეაფასოს y-ის მიერ განხორციელებული მოქმედებები, რაც უნდა მოხდეს კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის პრინციპის ფარგლებში.

განსახილველ შეკითხვის ფარგლებში შეგვიძლია ვიმსჯელოთ და განვმარტოთ, რომ იურიდიული კლინიკის ზედამხედველი ადვოკატის მიმართ, ამ უკანასკნელის სტატუსიდან გამომდინარე, მოქმედებს პროფესიული ეთიკის ნორმები.

დასკვნა:

ადვოკატი არ არის უფლებამოსილი, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი სხვა პირისათვის კლიენტის თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს მიმართა კონკრეტულმა კლიენტმა დაცვის მიზნით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, კლინიკის ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება Y-ის ან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ X-მა მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად. ასევე, ადვოკატს შეუძლია შეაფასოს სხვა პირის მიერ წარმომადგენლობის პროცესში განხორციელებული მოქმედებები ურთიერთპატივისცემისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის პრინციპის ფარგლებში.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.12.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 021/13

შეკითხვა:

არის თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რომელიმე ნორმის/ნორმების დარღვევა, როცა ადვოკატი დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების ორდერებს გაასაჯაროებს ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე? ხაზი გაესმის მხოლოდ ორდერებს და არა სისხლის სამართლის საქმეებს, როდესაც ზემოაღნიშნული ემსახურებოდა საჯარო დაწესებულების წინაშე, კონკურსში მონაწილეობის პროცესში, მოქმედ ადვოკატად მუშაობისა და გამოცდილების დადასტურებას ამავე ადვოკატის მხრიდან, ამავე ადვოკატის ინიციატივით.

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, “ადვოკატი ვალდებულია : ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. 2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი:

“კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: “ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის“.

ეთიკის კომისიამ 2013 წლის 05 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №142/12 აღნიშნა, რომ **„სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას უნდა განახორციელონ დაცვის უფლება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით...“**

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 დაადგინა: **„კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.“**

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №112/11 აღნიშნა, რომ: **„კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად... კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.“**

ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ნებისმიერი მესამე პირისთვის, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში. მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს, რამდენად ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი ორდერში აღნიშნულ ინფორმაციაზე. ასევე, შეკითხვის ფარგლებში უნდა შეფასდეს, ადვოკატის მიერ დასრულებულ საქმეებზე ორდერების წარდგენა ადმინისტრაციული ორგანოსთვის პრაქტიკული პროფესიული საქმიანობის და გამოცდილების დადასტურების მიზნით, წარმოადგენს თუ არა ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. აღნიშნული საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რომელიც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ძირეული პრინციპია და მის დასაცავად ადვოკატი ყველა კანონიერ გზას უნდა იყენებდეს,

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი. კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია: ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; ბ) დოკუმენტის დასახელება - ორდერი; გ) ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი; დ) იურიდიული პირი - სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; ე) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს); ვ) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **ორდერი, რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს შეიცავს, არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.** შესაბამისად, ადვოკატს შეუძლია საადვოკატო საქმიანობაში, მისი პროფესიული გამოცდილების დასადასტურებლად, დასრულებული სისხლის საქმეებზე გაცემული ორდერების წარდგენა. **კონფიდენციალურ ინფორმაციად არ მიიჩნევა ორდერში აღნიშნული მხოლოდ სავალდებულო რეკვიზიტები.** ადვოკატმა არ უნდა გაასაჯაროვოს ორდერი, კერძოდ, არ უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს ისეთი სახით, რომელიც მინიმალური რეკვიზიტების გარდა, მოიცავს სხვა სახის მონაცემებს, რაც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, რადგან სხვა მაინდეტიფიცირებელი ინფორმაცია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კონფიდენციალურია და ასეთის გამოყენება, მხოლოდ კლიენტის თანხმობითაა შესაძლებელი.

დასკვნა:

ორდერში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს და მასში არ არის აღნიშნული სხვა სახის ინფორმაცია, არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და შესაბამისად,

შესაძლებელია საადვოკატო საქმიანობის გამოცდილების დადასტურებისათვის წარედგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/14

შეკითხვა:

ადვოკატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სისხლის სამართლის საქმეზე, იცავდა ერთ-ერთი ბრალდებულის ინტერესებს გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განიხილა სასამართლომ და მის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, ბრალდებულმა, რომლის ინტერესებსაც იცავდა ადვოკატი, უჩივლა პოლიციის თანამშრომლებს და საჩივარში მიუთითა, რომ იგი დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს და სახის არეში მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანებები, რის შესახებაც პირველი შეხვედრისას წინასწარი დაკავების იზოლატორში თითქოსდა მან აცნობა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს. რეალურად, ხსენებულ ბრალდებულს, აღნიშნული ინფორმაცია ცემის ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატისათვის არ უცნობებია. ასევე, მას არ აღენიშნებოდა დაზიანების კვალი სახის არეში.

საქმის გამომძიებელი ითხოვს ადვოკატის დაკითხვას იმ ფაქტთან დაკავშირებით, აცნობა თუ არა ხსენებულმა ბარლდებულმა აღნიშნულის შესახებ და, ასევე, ემჩნეოდა თუ არა სახის არეში დაზიანებები. ადვოკატი აპირებს საქართველოს ს.ს.ს.კ. 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებასა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, თუმცა, მას გამომძებელმა განუცხადა, რომ თუ არ მისცემს ჩვენებას, ეს შეფასდება ჩვენების მიცემაზე უარის თქმად და, შესაბამისად, დადგება ადვოკატის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

თუ ადვოკატი მისცემს მისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო ჩვენებას და იტყვის სიმართლეს, რომ მისთვის ბრალდებულს არ უთქვამს არაფერი და არც სახის არეში შეუნიშნავს დაზიანება, შეფასდება თუ არა ეს ეთიკის კოდექსის დარღვევად?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი:

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

მოცემულ შემთხვევაში კლიენტი არათუ თანხმობას აცხადებს ადვოკატის მოწმედ დაკითხვასა და ჩვენების მიცემაზე, არამედ ამის ინიციატივას იჩენს და აქტიურ სურვილს ამჟღავნებს იმ იმედით და რწმენით, რომ ადვოკატი დაადასტურებს იმ გარემოებებს, რასაც იგი მიუთითებს თავის საჩივარში. კერძოდ, კლიენტი დარწმუნებულია, რომ ადვოკატი დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს და სახის არეში მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანებები და რის შესახებაც პირველი შეხვედრისას წინასწარი დაკავების იზოლატორში თითქოსდა მან აცნობა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს.

თავის მხრივ ადვოკატი არ აპირებს მისცეს გამოძიებას იმგვარი ჩვენება, რაც სურს კლიენტს იმ მიზეზით, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და შესაბამისად წარმოადგენს ცრუ ჩვენებას, ცრუ ჩვენების მიცემა კი არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. **კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დაუშვებელია, თუნდაც ეს კლიენტის ინტერესების დაცვისკენ იყოს მიმართული.**

მართალია სსსკ 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უფლებას აძლევს ადვოკატს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტი არ უკრძალავს მას ჩვენების მიცემას, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ ჩვენების მიცემამ შესაძლოა წარმოშვას კლიენტის პასუხისმგებლობა ცრუ დასმენაზე, რაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნასთან: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

დასკვნა:

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ სსსკ 50-ე მუხლით მონიჭებული უფლების გამოყენებაზე უარის თქმა და ჩვენების მიცემა შესაძლოა შეფასდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევად. შესაბამისად ადვოკატმა უნდა ისარგებლოს სსსკ 50-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და უარი უნდა თქვას ჩვენების მიცემაზე.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.09.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/14

შეკითხვა:

ადვოკატისათვის კლიენტს გარკვეული კონკრეტული ინფორმაციის გაცემა სპეციალურად არ აუკრძალავს. მაგრამ ადვოკატმა თავისი წყაროებით იცის, რომ კლიენტს ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ სურს.(მაგალითად, კლიენტმა ადვოკატთან გასაუბრების დროს დამალა, ან სხვისგან გაიგო და ა.შ). სასამართლო პროცესზე ადვოკატმა

კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გააჟღერა ეს ინფორმაცია, რამაც პროცესი კლიენტის სასარგებლოდ წარმართა. სწორად მოიქცა ადვოკატი?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი: „საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

«ადვოკატთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლი საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის ასახელებს «ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას» (ქვეპუნქტი «ზ»), ხოლო მე-5 მუხლი ადვოკატის ვალდებულებად ადგენს ამ პრინციპის დაცვას (ქვეპუნქტი «დ»). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით კონფიდენციალურობის პრინციპი, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულება ადგენს: «ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით» (ნაწილი 1).

ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს ადგენს: «ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს».

კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვა კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ემსახურება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის პრინციპს, რომელსაც ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ითვალსაწინებს: «კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა».

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ კონფიდენციალურობის დაცვის დროში შეუზღუდავი ვალდებულება პირდაპირ ემსახურება კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს. წარმოდგენილი ჰიპოთეტური შეკითხვა ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც კლიენტს ადვოკატისათვის გარკვეული კონკრეტული ინფორმაციის გაცემა სპეციალურად არ აუკრძალავს, თუმცა, ადვოკატმა საკუთარი წყაროებით იცის, რომ კლიენტს არ სურს ამ ინფორმაციის გამჟღავნება. **ეთიკის კოდექსი, როგორც კლიენტზე ორიენტირებული მოდელი, იცავს კლიენტის ინტერესების უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობას. თავის მხრივ, ადვოკატისადმი ნდობა იმ მოლოდინს ეფუძნება, რომ ადვოკატი, როგორც საკუთარი კლიენტის წარმომადგენელი და იურიდიული მრჩეველი, სწორედ მასთან შეთანხმებით, საქმის გარემოებებთან დაკავშირებით კლიენტთან სათანადო, გასაგებ ენაზე კომუნიკაციითა და ნებისმიერი ინფორმაციის დროულად მიწოდების შედეგად დაგეგმავს საქმის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიას, მათ შორის, გარკვეული ინფორმაციის (მისი ნაწილის) თუნდაც კლიენტის ინტერესების სასიკეთოდ გამოყენების საკითხს.**

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე # 057/10, 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილებაში განმარტა: **„ადვოკატსა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ.“**

რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ **კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება, რომელიც კლიენტის საქმეს უკავშირდება. ეთიკური ვალდებულებები მაღალ სტანდარტს ითხოვს ადვოკატისაგან და კონკრეტული ქმედების განხორციელებისას, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკური ვალდებულების შესრულება არ შეფასდება მხოლოდ ადვოკატის ქმედების შედეგად დამდგარი შედეგის მიხედვით.**

ჰიპოთეტური შეკითხვის თანახმად, კლიენტთან შეუთანხმებელი ინფორმაციის გამოყენებამ, საბოლოოდ კლიენტის სასარგებლოდ წარმართა პროცესი, თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს ადვოკატის ეთიკური ვალდებულება. **ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსი კლიენტთან შეუთანხმებლად მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენებით, რადგან ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის საფუძველზე მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტის ნების გარეშე ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომლის გამოყენება არ სურს კლიენტს და ეს ადვოკატმა სხვა წყაროდან იცის. ეთიკის კოდექსი კონფიდენციალურობის ვალდებულების დადგენისას უთითებს, რომ კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა კლიენტისაგან უშუალოდ ან მის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიიიღო.**

რეკომენდაციის გაცემისას, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ სხვა წყაროდან რაიმე ინფორმაციის შეტყობა, მათ შორის ისეთის, რომლის გამოყენებაც არ სურს კლიენტს, ადვოკატს ავალდებულებს ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიისა (კონფიდენციალურობა) და მათ შორის არსებული განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე, კლიენტს აცნობოს ამგვარი ინფორმაციის შეტყობის შესახებ, ხოლო ინფორმაციის (მისი ნაწილის) გამოყენების საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს კლიენტთან. ამ უკანასკნელისათვის ინფორმაციის სათანადოდ განმარტებისა და სამართლებრივი რისკების ადვოკატ-კლიენტის მიერ ერთობლივი შეფასების საფუძველზე, გადაწყვეტილებას მიიღებს კლიენტი. ნებისმიერი პროცესის კლიენტის სასარგებლოდ წარმართვა, უპირველესად, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე ნიშნავს არა სამართლებრივად საუკეთესო გამოსავალს, არამედ კლიენტისათვის მისაღებ შედეგს, რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სამართლებრივად საუკეთესო გადაწყვეტაც არ იყოს, თუმცა, თუ კანონიერების პრინციპს არ ეწინააღმდეგება, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესი გაითვალისწინოს.

რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ **ადვოკატის კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად განიხილება და კონკრეტული კლიენტის ინტერესებსა და კონფიდენციალურ ინფორმაციას უქმნის საფრთხეს, არამედ ზოგადად ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადობის უნდობლობის საწინდარიც შეიძლება გახდეს. ეთიკის კოდექსის პრეამბულა თითოეულ ადვოკატს, როგორც კორპორაციის წარმომადგენელს, აკისრებს პროფესიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას, საზოგადოების წინაშე იმგვარად განახორციელონ პროფესიული საქმიანობა, რომ ხელი შეუწყონ ნდობის მოპოვებას ადვოკატის საქმიანობისადმი და საზოგადოდ პროფესიისადმი.**

დასკვნა:

ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეუთანხმებლად არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს პირადპირ არ აუკრძალავს, თუნდაც ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან იყოს მოპოვებული და ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტის ინტერესებს ემსახურება. ადვოკატმა ნებისმიერინ წყაროდან

მოპოვებული ინფორმაცია უპირველესად კლიენტს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს მას, რადგან კლიენტი ენდობა ადვოკატს და მის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მაღალ სტანდარტს.

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.10.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში თუ პირი, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს ადვოკატი A, მიმართავს სამართლებრივი დახმარების თხოვნით სხვა ადვოკატ B - ს, სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ადვოკატ A-სთან ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე, აქვს თუ არა ვალდებულება ადვოკატ B-ს შეატყობინოს ადვოკატ A-ს აღნიშნულის შესახებ? აქვს თუ არა ადვოკატ B-ს ვალდებულება განუმარტოს კლიენტს, რომ საჭიროა ადვოკატ A-სთან ხელშეკრულების შეწყვეტა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებამდე?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ
ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

კონფიდენციალობის პრინციპის თანახმად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი.

კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №044/10/ დაადგინა: **„კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა ასევე გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“**

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი A არ არის ვალდებული შეატყობინოს ადვოკატ B - ს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების თაობაზე, ვინაიდან ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადვოკატ A - ს მომართა კონკრეტულმა პირმა სამართლებრივი დახმარების მოთხოვნით, კონფიდენციალურია.

კლიენტის თანხმობის გარეშე ადვოკატს არ აქვს უფლება გაავრცელოს პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, **თუ კლიენტმა განაცხადა თანხმობა ადვოკატს გაევრცელებინა მის შესახებ შეკითხვაში მოცემული ინფორმაცია, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს ჰქონდა უფლება თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის შესახებ განეცხადებინა კოლეგისათვის, რომ მან მიმართა სამართლებრივი დახმარების თხოვნით. კლიენტის თანხმობის გარეშე ადვოკატის მიერ ამგვარი განცხადების გაკეთება არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს. ასევე, ვინაიდან კლიენტს აქვს უფლება, სურვილის შესაბამისად, ჰქონდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა რამდენიმე ადვოკატთან, ადვოკატს არ აქვს ვალდებულება კლიენტს ურჩიოს სხვა ადვოკატთან ხელშეკრულების შეწყვეტა მასთან ურთიერთობის დაწყებამდე.**

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველადი რედაქციის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა შეკითხვაში აღნიშნულ შემთხვევაში ორ ადვოკატს შორის ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმას: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის**

დაწყების შესახებ.“

ეთიკის კოდექსის პირველადი რედაქციის აღნიშნული მუხლის რეგულირებისა და კონფიდენციალობის პრინციპის შესაძლო წინააღმდეგობის თემასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №044/10/ დაადგინა: „მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის ... გამოყენება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით გარანტირებულ კონფიდენციალობის პრინციპს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება გარანტირებულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც იერარქიით უფრო მაღლა მდგომი აქტია, ვიდრე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და წინააღმდეგობრივად რეგულირებული საკითხები უნდა გადაწყდეს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.“

აღნიშნული წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად, 2012 წლის 08 დეკემბრის ადვოკატთა საერთო კრებაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის რეგულაცია შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია

ადვოკატთან დაკავშირება.“ შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით გამოირიცხა შესაძლო წინააღმდეგობა ნორმებს შორის.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მიმართა პირმა, რომელსაც სახელშეკრულებო ურთიერთობა აკავშირებს სხვა ადვოკატთან, ახალი ადვოკატი არ არის ვალდებული აცნობოს კოლეგას აღნიშნული ფაქტის შესახებ. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმა ხელშეკრულება დაცვის მიზნით კონკრეტულმა კლიენტმა კონფიდენციალურია და ადვოკატს მხოლოდ კლიენტის თანხმობის საფუძველზე შეუძლია მისი გამხელა.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.06.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/14

შეკითხვა:

ადვოკატს აქვს თავისი საადვოკატო ბიურო. ადვოკატი თავისი კლიენტების საქმის მასალებს აცნობს საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტებს და ავალებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის შექმნას. მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულია თუ არა ადვოკატი საადვოკატო მომსახურების დაწყების წინ შეატყობინოს კლიენტს, რომ მის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და საქმის მასალებს გაეცნობა საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. **საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტები წარმოადგენენ მესამე პირებს, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება ადვოკატთან მოსული კლიენტების საქმის მასალები. ადვოკატის მიერ სტაჟიორებისათვის კლიენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა წარმოადგენს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების წინ კლიენტი უნდა იყოს ინფორმირებული, რომ მისი საქმის მასალები ცნობილი გახდება საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტისათვის. ამასთან, უმჯობესია ადვოკატმა გააფრთხილოს წინასწარ სტაჟიორი, რომ მას ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.**

დასკვნა:

ადვოკატმა მხოლოდ კლიენტის თანხმობის საფუძველზე უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ამ შემთხვევაში, გულისხმობს კლიენტის მიერ წინასწარ თანხმობას იმის თაობაზე, რომ საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტი გაეცნობა კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ საქმის მასალებს.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.05.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/13

შეკითხვა:
ადვოკატი 2008 წლიდან ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას სადავო ქონებასთან დაკავშირებულ საქმეზე. სასამართლო პროცესის შედეგებით ვერ მოხერხდა სადავო ბინის დაბრუნება, რადგან ნივთი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო გადასული. დაახლოებით 1 წლის შემდეგ, ადვოკატს დაუკავშირდა პირი, რომელსაც სურდა ბინის გაყიდვაში დახმარება. აღმოჩნდა, რომ ეს სწორედ ის სადავო ბინა იყო, რომლის დაბრუნებასაც ითხოვდა ადვოკატის კლიენტი. სახელმწიფომ ბინის გამყიდველს გადასცა ქონება სასამართლო პროცესის შემდეგ. ადვოკატის განცხადებით, ბინის გაყიდვა დააზიანებდა მისი კლიენტის ინტერესებს, რომელთანაც რწმუნებულება და ზეპირი შეთანხმება კვლავ აკავშირებდა. ბინის გაყიდვით დაინტერესებულ პირთან არ დაწყებულა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, მან ადვოკატს მხოლოდ ე.წ. მაკლერის როლის შესრულება სთხოვა მისი დიდი სანაცნობო წრის გამო. ხომ არ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი? უნდა დაეხმაროს თუ არა ბინის გამყიდველს ადვოკატი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი: „ 1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. 3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. 4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. 5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. „

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე №019/12 2012 წლის 02 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაადგინა: **„ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.“**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი ამომწურავად ადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ კლიენტებს შორის, რომელთა აუცილებელი პირობაა ადვოკატის მიერ პროფესიული რჩევის მიცემა ან წარმომადგენლობის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი არ ახორციელებდა ბინის გამყიდველის წარმომადგენლობას და არ არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. **ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებს.** ბინის გამყიდველი არ განიხილება დაკავშირებულ პირად, ვინაიდან **საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაკავშირებული პირი განიმარტება, როგორც „ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხება; საწარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე; იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას**

პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე.“ („გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, 2007 წლის 28 მარტი, მუხლი 3, საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, 1998 წლის 24 დეკემბერი, მუხლი 2). შესაბამისად, ბინის გამყიდველი არ არის ადვოკატთან დაკავშირებული პირი.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, პირად და სხვა პირთა ინტერესებთან უპირატესობის გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე №022/11 2011 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა: **„კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შეიძლება შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე, ასევე, ადვოკატთა პროფესიულ კორპორატიულ ინტერესსზეც. ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს.“**

მოცემულ შემთხვევაში ბინის გამყიდველის დახმარება, ადვოკატის განცხადებით, ზიანს მიაყენებდა მისი კლიენტის ინტერესებს, რომელთანაც ძალაში იყო რწმუნებულება და ზეპირი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. კლიენტს, ბინის გაყიდვის შემთხვევაში, სავარაუდოდ, უფრო გაუჭირდებოდა მასზე საკუთრების მოპოვება. შესაბამისად, ბინის გაყიდვით დაინტერესებული პირის ინტერესების დაცვა დგება კლიენტის ინტერესების განხორციელებაზე მაღლა, რაც წარმოადგენს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევას.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ იმ პირის, რომელიც არ არის კლიენტი, ინტერესების განხორციელება იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მოქმედებით შესაძლოა ზიანი მიადგეს კლიენტის ინტერესების განხორციელებას, წარმოადგენს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევას. ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის პირი, თავად გადაწყვეტს, რომელი საქმის წარმოებას დათანხმდეს. ჰიპოთეტურ შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატი არ არის ვალდებული აღმოუჩინოს დახმარება იმ პირს, რომლის ინტერესებიც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს არსებული ან ყოფილი კლიენტის ინტერესებთან.

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.01.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/14

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ადვოკატისაგან მოითხოვს ისეთ ქმედების განხორციელებას, რაც შესაძლოა არღვევდეს კანონმდებლობას, როგორ უნდა იმოქმედოს მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: **„კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო**

საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის **შესაბამისად, ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს,** რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. **თუმცა, აღნიშნული მუხლის მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“** შესაბამისად, მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კანონიერების პრინციპი და იმოქმედოს მხოლოდ კანონით დაწესებულ ფარგლებში.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული ქმედების განხორციელებას, რომელიც შესაძლოა არღვევდეს მოქმედ კანონმდებლობას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონიერების პრინციპის დაცვით. მიუხედავად კლიენტის ინტერესების უპირატესობისა სხვა ყველა ინტერესის მიმართ, „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი)

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/14

შეკითხვა:

ადვოკატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სისხლის სამართლის საქმეზე, იცავდა ერთ-ერთი ბრალდებულის ინტერესებს გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განიხილა სასამართლომ და მის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, ბრალდებულმა, რომლის ინტერესებსაც იცავდა ადვოკატი, უჩივლა პოლიციის თანამშრომლებს და საჩივარში მიუთითა, რომ იგი დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს და სახის არეში მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანებები, რის შესახებაც პირველი შეხვედრისას წინასწარი დაკავების იზოლატორში თითქოსდა მან აცნობა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს. რეალურად, ხსენებულ ბრალდებულს, აღნიშნული ინფორმაცია ცემის ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატისათვის არ უცნობებია. ასევე, მას არ აღენიშნებოდა დაზიანების კვალი სახის არეში.

საქმის გამომძიებელი ითხოვს ადვოკატის დაკითხვას იმ ფაქტთან დაკავშირებით, აცნობა თუ არა ხსენებულმა ბარლდებულმა აღნიშნულის შესახებ და, ასევე, ემჩნეოდა თუ არა სახის არეში დაზიანებები. ადვოკატი აპირებს საქართველოს ს.ს.ს.კ. 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებასა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, თუმცა, მას გამომძებელმა განუცხადა, რომ თუ არ მისცემს ჩვენებას, ეს შეფასდება ჩვენების მიცემაზე უარის თქმად და, შესაბამისად, დადგება ადვოკატის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

თუ ადვოკატი მისცემს მისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო ჩვენებას და იტყვის სიმართლეს, რომ მისთვის ბრალდებულს არ უთქვამს არაფერი და არც სახის არეში შეუნიშნავს დაზიანება, შეფასდება თუ არა ეს ეთიკის კოდექსის დარღვევად?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

„1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

„1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი:

„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

მოცემულ შემთხვევაში კლიენტი არათუ თანხმობას აცხადებს ადვოკატის მოწმედ დაკითხვასა და ჩვენების მიცემაზე, არამედ ამის ინიციატივას იჩენს და აქტიურ სურვილს ამჟღავნებს იმ იმედით და რწმენით, რომ ადვოკატი დაადასტურებს იმ გარემოებებს, რასაც იგი მიუთითებს თავის საჩივარში. კერძოდ, კლიენტი დარწმუნებულია, რომ ადვოკატი დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს და სახის არეში მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანებები და რის შესახებაც პირველი შეხვედრისას წინასწარი დაკავების იზოლატორში თითქოსდა მან აცნობა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს.

თავის მხრივ ადვოკატი არ აპირებს მისცეს გამოძიებას იმგვარი ჩვენება, რაც სურს კლიენტს იმ მიზეზით, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და შესაბამისად წარმოადგენს ცრუ ჩვენებას, ცრუ ჩვენების მიცემა კი არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. **კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დაუშვებელია, თუნდაც ეს კლიენტის ინტერესების დაცვისკენ იყოს მიმართული.**

მართალია **სსსკ 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უფლებას აძლევს ადვოკატს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტი არ უკრძალავს მას ჩვენების მიცემას, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ ჩვენების მიცემამ შესაძლოა წარმოშვას კლიენტის პასუხისმგებლობა ცრუ დასმენაზე, რაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნასთან**: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

დასკვნა:

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ სსსკ 50-ე მუხლით მონიჭებული უფლების გამოყენებაზე უარის თქმა და ჩვენების მიცემა შესაძლოა შეფასდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევად. შესაბამისად ადვოკატმა უნდა ისარგებლოს სსსკ 50-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და უარი უნდა თქვას ჩვენების მიცემაზე.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.11.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/13

შეკითხვა:

ადვოკატი ერთდროულად იცავდა ორი პირის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც ერთ დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი. ერთ-ერთმა ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ხოლო მეორემ არა. დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს, იმ შემთხვევაში, თუ ის გააგრძელებს ორივე ბრალდებული პირის ინტერესების დაცვას?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) „ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. “

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი: „ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

განსახილველ შემთხვევაში, **სისხლის სამართლის საქმეზე ორი ბრალდებული პირის ინტერესების დაცვის პროცესში, ერთ-ერთი კლიენტის მიერ დანაშაულის აღიარება, ხოლო მეორე კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენის უარყოფა გულისხმობს მათ შორის ურთიეთსაწინააღმედგო ინტერესების არსებობას, რამაც შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი წარმოქმნას ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშვას.**

მოცემულ შემთხვევაში, ორივე ბრალდებულის ინტერესების დაცვისას, შესაძლოა ადვოკატის მიმართ არსებობს ნდობა და ორივე ბრალდებული აწვდის ისეთ ინფორმაციას, რაც არ უნდა იქნას გამჟღავნებული ადვოკატის მიერ. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში **კლიენტების ურთიერთგანსხვავებულმა პოზიციებმა შესაძლოა, მათ შორის წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი ან შეიქმნას ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევა ან/და შეიქმნას კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ორივე კლიენტის ინტერესების დაცვა.**

დასკვნა:

თუ ადვოკატი იცავს ორი ბრალდებულის ინტერესებს ერთი და იგივე საქმეზე და ერთ-ერთმა ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ხოლო მეორემ არა, ასეთ შემთხვევაში, კლიენტების ურთიერთგანსხვავებულმა ინტერესების

არსებობამ შესაძლოა მათ შორის წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი ან შეიქმნას მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა ადვოკატმა ერთი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენოს მეორე კლიენტის სასარგებლოდ, რაც ადვოკატის მიმართ ნდობის არსებობის დარღვევის ან/და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხეს ქმნის. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ორივე კლიენტის ინტერესების დაცვა.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/14

შეკითხვა:

ადვოკატი იცავს ერთ საქმეზე ორი პირის ინტერესებს. ორივე პირი ერთ მხარეზეა ამ კონკრეტულ საქმეში, მაგრამ, ადვოკატმა იცის, რომ ამ პირებს შორის ურთიერთობა იძაბება და შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი. ანუ - ჯერ ინტერესთა კონფლიქტი სახეზე არაა; არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე.

საქმე ეხება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას. ხელშეკრულება დაიდო ზეპირი ფორმით. ადვოკატის კლიენტებმა, ამ შემთხვევაში მოვალეებმა, შესაგებლით არ ცნეს სასარჩელო მოთხოვნა - თანხის დაკისრება, გადახდის ვადის არარსებობის მიზეზით. მოვალეების პირადი დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ერთ-ერთმა მოვალემ საქმის მომდინარეობისას აღიაროს მოთხოვნის ვადამოსულობა ორივე მოვალის მიმართ, რაც გამოიწვევს მოვალეთა პოზიციების დაპირისპირებას.

თუ ადვოკატი უარს იტყვის ამ პირების დაცვაზე, ისინი ვერ შეძლებენ მოკლე პერიოდში და ფინანსური სიდუხჭირის გამო ახალი ადვოკატის აყვანას და მათი ინტერესები დაზიანდება. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი:

„ადვოკატი ვალდებულია:

ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი:

1. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

2. ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

„1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი:

„ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დაცვისას, თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში, **ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის კლიენტებს შორის მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში რომელიმე მათგანის სასარგებლოდ მოქმედება, მეორის ინტერესების საწინააღმდეგოდ** ასევე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის პრევენციის მიზნით, **წინასწარ უნდა შეატყობინოს კლიენტებს, რომ შესაძლოა წარმოექმნას ვალდებულება შეწყვიტოს მათი ინტერესების წარმოდგენა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.**

ადვოკატს აქვს ვალდებულება დაიცვას ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის **„ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“** (აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი) **წინასწარი გაფრთხილებით ადვოკატი თავიდან აიცილებს აღნიშნული რეგულირების შესაძლო დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი.**

დასკვნა:

დასმულ შეკითხვაში მითითებული გარემოება რეგულირდება ზემოაღნიშნული ნორმებით, რაც ადვოკატს ავალდებულებს არ დაუშვას მის კლიენტებს შორის მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში რომელიმე მათგანის სასარგებლოდ მოქმედება, მეორის ინტერესების საწინააღმდეგოდ და იმავდროულად ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს წინასწარ, ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წარმოქმნამდე გააფრთხილოს მისი კლიენტები, კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან მათი მომსახურების შეწყვეტის გარდაუვლობის შესახებ. ასეთი ქმედებით ადვოკატი თავიდან აიცილებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, ადვოკატის მოქმედება იქნება სრულ შესაბამისობაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ე) პუნქტის, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის მოთხოვნებთან.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.05.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/13

შეკითხვა:

ადვოკატი იცავდა სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესებს. კლიენტს ბრალი ედებოდა ცოლის მიმართ ქურდობის ჩადენის ფაქტზე. საქმის დასრულებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, ადვოკატს მიმართა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულმა - ადვოკატის ყოფილი კლიენტის მეუღლემ და სთხოვა წარმომადგენლობა განქორწინების საქმეზე. ადვოკატი უთითებს, რომ ამ ორ საქმეს არ აქვს ერთმანეთთან არანაირი კავშირი. აქვს თუ არა უფლება ადვოკატს განახორციელოს წარმომადგენლობა განქორწინების საქმეზე?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი:

„1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

2. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.

3. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობას და ამომწურავად ჩამოთვლის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს, თუმცა, თითოეული მათგანი სხვადასხვა საკითხს არეგულირებს - **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის სპეციფიკას მიმდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ კლიენტებს შორის და არ ეხება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოების შემთხვევას, რომელსაც არეგულირებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი.** შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევა განიხილება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს პრაქტიკით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით, /დისციპლინურ საქმეზე №015/10/ დაადგინა: **„ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.“**

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში, /დისციპლინურ საქმეზე 092/10/ მიუთითა: **„ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა. საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. ადვოკატმა**

ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა.“

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, **ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას. კონფიდენციალობის პრინციპთან ერთად გასათვალისწინებელია ნდობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დაცვა, ვინაიდან „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი) ხოლო ყოფილი კლიენტის მიმართ არსებულმა ვალდებულებებმა და ურთიერთობამ არ უნდა შეუშალოს ხელი ახალი (პოტენციური) კლიენტის ინტერესების სრულყოფილად განხორციელებას.**

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი აცხადებს, რომ სისხლის სამართლისა და განქორწინების საქმეებს არ აქვთ შემხებლობა და მიაჩნია, რომ თითოეული მათგანი დამოუკიდებელი საქმეა. **საქმის წარმოება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ თავისთავად არ არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა, თუმცა, ადვოკატმა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს საადვოკატო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების უპირატესობა და არ უნდა დააყენოს მათი დაცვა საფრთხის ქვეშ.**

დასკვნა:

ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოება არ მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახის საქმიანობით ირღვევა ან საფრთხის ქვეშ დგება საადვოკატო საქმიანობის პრინციპების - ნდობის, კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის განხორციელების შესაძლებლობა როგორც ყოფილი, ისე პოტენციური კლიენტის მიმართ.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.03.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/13

შეკითხვა:

თუ საქმის წარმოების დაწყებამდე არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი - ადვოკატმა მომსახურება უნდა გაუწიოს ერთ-ერთ ნათესავს ორ ნათესავს შორის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით. ასევე, ადვოკატი ფიქრობს, რომ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი. უნდა წარმოადგინოს თუ არა ადვოკატმა მისი ნათესავი სასამართლოში?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი: „ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლის დროსაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატი არ უნდა ჩაერთოს საქმეში. ინტერესთა კონფლიქტი ინტერესთა შეუთავსებლობის სახელით განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში, რომლის, როგორც ზემდგომი ნორმატიული აქტის, შესაბამისია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. **კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მაშინაც, როდესაც შეიძლება სახეზეა ადვოკატის მოქმედების წინააღმდეგობა საკუთარ ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.**

ადვოკატის ნათესავი შესაძლოა ჩაითვალოს მასთან დაკავშირებულ პირად. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაკავშირებული პირი განიმარტება, როგორც ნათესაური კავშირის მქონე პირი, რომელიც შედის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეთა წრეში („გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, 2007 წლის 28 მარტი, მუხლი 3, საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, 1998 წლის 24 დეკემბერი, მუხლი 2) ადვოკატს არ დაუკონკრეტებია ნათესაური კავშირის კონკრეტული სახე, თუმცა მან აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა ახლო ნათესავს, შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს დაკავშირებულ პირად.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, შესაბამისად, ერთ-ერთი ნათესავის, რომლის მოწინააღმდეგის ადვოკატიც იქნება იგი სასამართლო პროცესზე, ინეტერესი იყოს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი. ვინაიდან ადვოკატს ჰქონდა დასაბუთებული ვარაუდი და არსებობდა რეალური შესაძლებლობა, რომ წარმოეშობოდა ინტერესთა კონფლიქტი: **მისი მოქმედება შესაძლებელი იყო ყოფილიყო მასთან დაკავშირებული პირის - ნათესავის ან თავად მისი, როგორც კლიენტის ნათესავის, ინტერესების საწინააღმდეგო, შესაბამისად, სახეზე იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტი.**

დასკვნა:

თუ საქმის წარმოების დაწყებამდე არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი - ადვოკატმა მომსახურება უნდა გაუწიოს ერთ-ერთ ნათესავს ორ ნათესავს შორის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით. ასევე, ადვოკატი ფიქრობს, რომ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა სასამართლოში.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.09.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/14

შეკითხვა:

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა ბ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის - 3900 ევროს გადახდა. სარჩელის მიხედვით მოსარჩელემ, ორი წლის წინ, საბერძნეთში გაიცნო ათენში სამუშაოდ ჩასული რ., რომელმაც შესჩივლა, რომ საქართველოში ვალი ჰქონდა გადასახდელი. მოსარჩელეს შეეცოდა რ. და როგორც კი საშუალება გაუჩნდა, რ.-ს მეუღლეს საქართველოში საბერძნეთიდან გადაურიცხა 3900 ევრო, ისე, რომ ბ.-სთან არც ზეპირი და არც წერილობითი გარიგება არ დაუდია სესხის თაობაზე.

ბ.-მ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში მიუთითა, რომ ორი წლის წინ საბერძნეთიდან დაურეკა ცოლმა რ.-მ და უთხრა, რომ შვიდი ქალი თამაშობდნენ ლატარეას თვეში 500 ევროს დადებით. იგი რიგით მეორე იღებს ლატარეის ფულს და ლატარეის თამაშის ხელმძღვანელი პირი -მოსარჩელე გადმოურიცხავს ამ თანხას პლუს კიდევ 400 (ოთხას) ევროს, სულ 3900 ევროს; ბ.-მ ასევე მიუთითა, რომ მისი მეუღლე მომდევნო სამი თვის შემდეგ დარჩა უმუშევარი და დაედო ვალი 1100 ევრო ლატარეის თამაშის, რაც მას უნდა გადაეხადა, ანუ მის მეუღლეს.

მოპასუხემ მოითხოვა საქმეში მისი ცოლის, რ.-ს ჩაბმა მოპასუხედ, რადგან თვითონ არასათანადო მოპასუხეა. სასამართლომ საქმეში მოპასუხედ დატოვა ბ. ამასთან მისი ცოლი რ. საქმეში ჩაბა მესამე პირად.

საბერძნეთში მყოფ რ.-ს სურს მისი ადვოკატ-წარმომადგენელი იყოს იგივე ადვოკატი, რომელიც იცავს მისი მეუღლის, ბ.-ს ინტერესებს. რ.-ს სურვილია იყოს არა მესამე პირი, არამედ მოპასუხედ ჩაებას საქმეში, რათა წარმომადგენლის მეშვეობით შეგებებული სარჩელით მიმართოს სასამართლოს. როგორც ბ., ისე რ. არ უარყოფენ, რომ რ.-ს მოსარჩელისათვის გადასახდელი აქვს 1100 ევრო. რ.-ს და ბ.-ს აქვთ ამ საქმეში საერთო ინტერესი.

ასეთ შემთხვევაში, როგორ მოიქცეს ადვოკატი? თუ დათანხმდება რ.-ს და გახდება მისი წარმომადგენელი, ხომ არ იქნება ინტერესთა კონფლიქტი? დასაშვებია, რომ ერთი და იგივე ადვოკატი იყოს ბ.-ს, ანუ ქმრის ადვოკატი და

კვლავ მოითხოვოს ბ.-ს, როგორც არასათანადო მოპასუხის შეცვლა სათანადო მოპასუხე რ.-თი და რ.-ს სახელით შეიტანოს შეგებებული სარჩელი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: **„კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.“**

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვის მიხედვით, ბ.–ს და რ.–ს გააჩნიათ საერთო ინტერესი და მათი პოზიცია თანმხვედრია სარჩელთან მიმართებით. ასევე, ფაქტობრივ გარემოებებს ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებით ისინი იდენტურად ხსნიან და, აქედან გამომდინარე, აღიარებენ მხოლოდ 1100 (ათას ასი) ევროს დავალიანებას. შეკითხვაში მითითებული გარემოებები, სავარაუდოდ, არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. ადვოკატის კლიენტის, ბ.-ს ინტერესები არ ეწინააღმდეგება მისი შესაძლო მომავალი კლიენტის, რ.-ს ინტერესებს, რაც გულისხმობს იმას, რომ რ.-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგაც, მოცემულ ვითარებაში, მათი ინტერესები საერთო იქნება.

შესაბამისად, **ვინაიდან რ.-სა და ბ.-ს ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, შეკითხვის ავტორ ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს რ.–ს და ბ .–ს ინტერესები.**

საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ **რეკომენდირებულია რ.-სთან საადვოკატო ხელშეკრულების გაფორმებისას, ან ცალკე წერილობითი დოკუმენტით, ადვოკატმა განუმარტოს მას, რომ რ.-სა და ბ.-ს შორის, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ინტერესთა კონფლიქტის, ან ასეთის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, იგი**

ვალდებული იქნება შეწყვიტოს ორივე კლიენტის, როგორც რ.-ს, ისე ბ.-ს წარმომადგენლობა, ამასთან, ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც რ.-ს, ისე ბ.-ს საქმეზე ძალაში რჩება თავისი სამართლებრივი შედეგებით და ადვოკატს უფლება ექნება რ.-სთან და ბ.-სთან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი დაიტოვოს. ასევე, ადვოკატმა, შესაძლო გართულებების პრევენციის მიზნით, სასურველია წერილობით დააფიქსიროს აღნიშნული ურთიერთობები და მოქმედებები.

დასკვნა:

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ კლიენტ ბ.-სა და პოტენციურ კლიენტ რ.-ს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. მათი პოზიცია თანმხვედრია როგორც რ.-ს მოპასუხის სტატუსთან, ისე დავალიანების თანხის ოდენობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, შეკითხვისავტორ ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს რ.–ის და ბ. –ს ინტერესები.რეკომენდირებულია, რ.-სთან საადვოკატო ხელშეკრულების გაფორმებისას, ან ცალკე წერილობითი დოკუმენტით, ადვოკატმა განუმარტოს კლიენტებს მომავალში ინტერესთა კონფლიქტის, ან ასეთის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლო შედეგები.

ინტერესთა შეუთავსებლობა

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/13

შეკითხვა:

რამდენად ეთიკურია აწარმოო საქმე შენი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი: „1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. 2. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. 3. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.2 თავი: 3.2.1. ადვოკატს არა აქვს უფლება კონსულტაცია გაუწიოს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტის არსებობის ან კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი რისკის არსებობის შემთხვევაში.

3.2.2. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა ორივე კლიენტის სახელით მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, ნდობის დარღვევის ან მისი დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას.

3.2.3. ამასთან, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის სახელით საქმიანობაზე, თუ არსებობს ყოფილი კლიენტის ადვოკატისადმი ნდობის დარღვევის რისკი ან თუ ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი ფლობს, ახალი კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს.

ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის Rec(2000)21 III პრინციპის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი: „კლიენტის წინაშე ადვოკატის ვალდებულებები უნდა მოიცავდეს: ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.“

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი რეგულირებულია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა კანონმდებლობით. **ინტერესთა კონფლიქტს ეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21, რომელიც ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ პრინციპების ჩამონათვალში, ადვოკატის როლისა და მოვალეობების მითითებისას, ადვოკატებს ავალდებულებს თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი.**

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე იმპერატიულად ადგენს, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს კონსულტაცია გაუწიოს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე. ასევე, ადვოკატი, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კლიენტებთან, ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა ნდობის დარღვევისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას.ასევე, საქმისწარმოების იმ სტადიაზე, რომელზეც ამ კლიენტთა შორის წარმოიშობა კონფლიქტი.

კოდექსის ეს ნორმა ინტერესთა კონფლიქტის არაამომწურავ გარემოებებს აღწერს - მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც აშკარად არის სახეზე ინტერესთა კონფლიქტი კლიენტებს შორის.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ადვოკატმა თავად უნდა შეაფასოს შემდეგი რისკები: კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა, ნდობის დარღვევა, ადვოკატის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ადვოკატისადმი ყოფილი კლიენტის ნდობის დარღვევა. ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ადვოკატის ხელთ არსებული ინფორმაცია მის ახალ კლიენტს შესაძლოა ანიჭებდეს არამართებულ უპირატესობას. ადვოკატმა კონკრეტულ შემთხვევებში უნდა შეაფასოს შესაძლო რისკები.

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობას. კანონი და კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს, თუმცა, თითოეული მათგანი სხვადასხვა საკითხს არეგულირებს - **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის სპეციფიკას სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ კლიენტებს შორის და არ ეხება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოების შემთხვევას, რომელსაც არეგულირებს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი.** შესაბამისად, მოცემული შემთხვევა განიხილება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და ეთიკის კომისიის მიერ მისი პრაქტიკული განმარტების მიხედვით.

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.

ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

განხილვის კოლეგიის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 092/10 დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე მითითებულია: **„ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა. საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა."**

საპროცესო კოლეგიის 2011 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №092/10 დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ აღინიშნა: **"საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას."**

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №015/10 დაადგინა, რომ **„ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი."**

კონფიდენციალობის პრინციპთან ერთად გასათვალისწინებელია ნდობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დაცვა, ვინაიდან **„ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას"** (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი), ხოლო **ყოფილი კლიენტის მიმართ არსებულმა ვალდებულებებმა და**

ურთიერთობამ არ უნდა შეუშალოს ხელი ხელშეკრულებაში მყოფი კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად განხორციელებას.
შესაბამისად, საქმის წარმოება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ თავისთავად არ არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა, თუმცა, ადვოკატმა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს საადვოკატო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და არ უნდა დააყენოს მათი დაცვა საფრთხის ქვეშ.
დასკვნა:
ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოება არ ჩაითვლება საადვოკატო საქმიანობის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახის საქმიანობით ირღვევა ან საფრთხის ქვეშ დგება ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის პრინციპების განხორციელების შესაძლებლობა.
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ: 092/10, 022/11, 078/11, 094/11.

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/14
შეკითხვა:
სამართალდამცავებმა დააკავეს ადვოკატ “A”-ს შვილი. დაკავების დროს მოწმედ დაკითხეს ადვოკატი „A”. შეუძლია თუ არა აღნიშნულ ადვოკატს თავისი შვილის ინტერესები დაიცვას მოცემულ საქმეზე?
ანალიზი:
ადვოკატი თავისი შვილის საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა მოწმედ, რაც მას უკრძალავს დაიცვას თავისი შვილის ინტერესები, როგორც ადვოკატმა მოცემულ საქმეზე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: **„დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარომოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.**
დასკვნა:
ადვოკატს ეკრძალება პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზედაც ის მოწმის სტატუსით დაიკითხა.

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.01.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/14
შეკითხვა:
ადვოკატი წარმოადგენს ერთ-ერთი პირის ინტერესებს კონკრეტულ სასამართლო საქმეში. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დაიკითხება მოწმედ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა მას გააგრძელოს, როგორც ადვოკატმა, მისი კლიენტის წარმომადგენლობა?

ანალიზი:
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის,

ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“

ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე პირია, შესაბამისად, იგი საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალია და მისი საქმიანობის განხორციელების შეზღუდვა დაუშვებელია. თუმცა, ადვოკატი, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, უნდა დაემორჩილოს კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ **ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს პროფესიული ფუნქციები იმ საქმეზე, რომელზეც განახორციელა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, მათ შორის მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და სხვ. აღნიშნული ნორმის რეგულაცია ვრცელდება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადვოკატი აღნიშნულ საქმიანობას განახორციელებს კლიენტთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ.**

განსახილველ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მოწმის სახით მისცემს ჩვენებას სასამართლოში, იგი ავტომატურად მოექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის რეგულაციის სფეროში, რომელიც ადვოკატს ავალდებულებს არ განახორციელოს პროფესიული საქმიანობა იმავე საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატმა, მსგავს შემთხვევაში, უნდა შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა.

დასკვნა:

თუ ადვოკატი, კონკრეტულ საქმეზე, კლიენტის წარმომადგენლობისას, მოწმის სახით მისცემს ჩვენებას, მან უნდა შეწყვიტოს პროფესიული ფუნქციების შესრულება აღნიშნულ საქმეზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ვინაიდან, მან, იმავე საქმეში, განახორციელა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/14

შეკითხვა:

ადვოკატი ახორციელებს კლიენტის წარმომადგენლობას კონკრეტულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე. მხარეები შეთანხმებული იყვნენ, რომ აღნიშნული დავა განსახილველად გადაეცემოდა არბიტრაჟს. როგორც აღმოჩნდა, შეთანხმებული არბიტრაჟი იყო სწორედ ამ ადვოკატის არბიტრაჟი, სადაც თავად ახორციელებდა არბიტრის ფუნქციას.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მისი კლიენტის საქმეზე განახორციელებს არბიტრის ფუნქციას, დაარღვევს თუ არა იგი პროფესიული ეთიკის ნორმებს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარომოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“

ადვოკატი, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალია და ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს ამავე კანონის ერთ-ერთი ნორმის, კერძოდ, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის რეგულირების მიხედვით.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ **ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს პროფესიული ფუნქციები იმ საქმეზე, რომელზეც განახორციელა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, მათ შორის მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და სხვ. აღნიშნული ნორმის რეგულაცია ვრცელდება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადვოკატი აღნიშნულ საქმიანობას განახორციელებს კლიენტთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ.**

აღნიშნული დებულების თანახმად, ადვოკატმა, კლიენტთან სახელშეკრულებო ურთერთობაში ყოფნის დროს არ უნდა შეასრულოს მის საქმესთან დაკავშირებით არბიტრის ფუნქცია. ეს ქმედება, სავარაუდოდ, გამოიწვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ახორციელებს კლიენტის წარმომადგენლობას, მასთან სახელშეკრულებო ურთერთობაში ყოფნის დროს არ უნდა შეასრულოს მის საქმესთან დაკავშირებით არბიტრის ფუნქცია. აღნიშნული მოქმედება, სავარაუდოდ, განიხილება, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევა.

კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენების უფლება

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.06.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/13

შეკითხვა:

ადვოკატი A ავრცელებს არასწორ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან ადვოკატ B - ს გადასცა გარკვეული თანხა. ადვოკატმა A - მ აღმასრულებელთან წარადგინა ყალბი ხელწერილი ადვოკატ B - ს გაყალბებული ხელმოწერით, თითქოს მან მართლაც აიღო თანხა. ადვოკატ B - ს სურს საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას კოლეგის აღნიშნული ქმედების თაობაზე. ექნება თუ არა პერსპექტივა საჩივარს?

ანალიზი:

"ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: "ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.“

ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. ადვოკატმა ყველა შესაძლო ხერხი უნდა გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს მისი ვალდებულებები და დააყენოს კლიენტის ინტერესები ნებისმიერ სხვა ინტერესზე მაღლა, თუმცა, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს უკანონო გზით კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №057/10 მიუთითა, რომ **„ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში.“**

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება შეკითხვაში მოცემული გარემოებები - ხელმოწერის გაყალბება და ყალბი ხელწერილის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვა, შესაძლოა ადვოკატის ქმედება იყოს უკანონო. თუ ასეთი ქმედების დროს შეკითხვაში აღნიშნული პირი მოქმედებდა, როგორც ადვოკატი, მისი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კანონიერების პრინციპის დარღვევას.

თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით ირღვევა მისი უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდენის შესაძლო ჩადენის თაობაზე. ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პროფესიული ეთიკის პრინციპის დარღვევის ფაქტზე ადვოკატმა საჩივრით მომართა კომისიას სხვა ადვოკატის წინააღმდეგ.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. **ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, ეთიკის კომისიის იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.**

დასკვნა:

თუ დადასტურდება ადვოკატის მიერ ხელმოწერის გაყალბება და ყალბი ხელწერილის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვა, შესაძლოა მის ქმედებაში იკვეთებოდეს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები. თუ ასეთი ქმედების დროს შეკითხვაში აღნიშნული პირი მოქმედებდა, როგორც ადვოკატი, მისი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონიერების პრინციპის დარღვევას. ადვოკატს შეუძლია მომართოს საჩივრით ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მისი კოლეგის მხრიდან უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში. დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად შესაძლოა დადგეს საჩივრის ავტორისათვის სასურველი შედეგი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.10.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/14

შეკითხვა:

კლიენტის დავალებით გამოსაკითხია მოწმე, რომელიც იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. (არის პატიმარი) ორდერის გარეშე მისი გამოკითხვა შეუძლებელია. გამოიწვევს თუ არა ორდერის გამოწერა და გამოკითხვა ეთიკის ნორმების დარღვევას?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით."

ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს კანონით დადგენილი რეგულაციის შესაბამისად. ამასვე უთითებს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ

კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აღიარებს კლიენტის ინტერესების უპირატესობას სხვა ინტერესებთან მიმართებით, თუმცა, საზღვარს უწესებს თავად კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპსაც - ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ეთიკისა და კანონის რეგულაციის შესაბამისად.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: **„კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“**

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად **,,გამოძიების ორგანოში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი.“**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად: **,,სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას.“**

ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კონკრეტულ საქმეზე კლიენტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგინოს ორდერი.

ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ორდერში მითითებული პირის დასაცავად, ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №044/10/ განმარტა: **,,საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის მიერ ორდერის გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა.“**

შესაბამისად, ადვოკატის მიერ მისთვის არადასაცავ პირზე ორდერის გამოწერა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, შესაძლოა ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“.) დარღვევად.

დასკვნა:

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ, მოწმის გამოსაკითხად ორდერის გამოწერა, სავარაუდოდ, გამოიწვევს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, ვინაიდან ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს და ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მასში მითითებული პირის დასაცავად. ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

კლიენტთან ურთიერთობის დაწყების წესი

ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.07.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/13
შეკითხვა:
იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალურ ქსელში დასმულია სამართლებრივი კითხვა, ადვოკატი აღნიშნულ შეკითხვას გამოეხმაურება და გაუწევს კონსულტაციას მისთვის უცნობ ან ნაცნობ ადამიანს, აღნიშნული შეიძლება თუ არა შეფასდეს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობად და შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშობა თუ არა მოცემულ ურთიერთობებზე ის ვალდებულებები, რაც კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსით არის დარეგულირებული.
ანალიზი:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა“.
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“.
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.
ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით:** „ საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი). შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება, რომ იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.
განსახილველ შემთხვევაში, სოციალურ ქსელში სამართლებრივი შეკითხვის განთავსებით ივარაუდება, რომ შეკითხვის ავტორს სურს მიიღოს კვალიფიციური პასუხი. **მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვის ავტორის სამართლებრივი შეკითხვა კონკრეტულად არ იყო მიმართული რომელიმე ადვოკატის მიმართ, ეს არ ათავისუფლებს ადვოკატს დაიცვას პროფესიული სტანდარტები იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის თავისი ინიციატივით გასცემს პასუხს სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვას.**
ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **ადვოკატის მიერ აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და შესაბამისად, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.**
ადვოკატმა, სამართლებრივ შეკითხვაზე კონსულტაციის გაწევისას, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა შეკითხვის ავტორს და გაუწიოს სამართლებრივი დახმარება.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეკითხვის ავტორი საჯაროს ხდის მის სამართლებრივ შეკითხვას, შესაბამისად ივარაუდება, რომ მას სურს საჯაროდ მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია. თუმცა **რეკომენდირებულია, ადვოკატმა, რომელსაც სურს თავისი ინიციატივით გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია შეკითხვის ავტორს, წინასწარ შეათანხმოს მასთან სურს თუ არა საჯაროდ მიიღოს პასუხი სამართლებრივ შეკითხვაზე.**
შეკითხვის მიხედვით, ასევე უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სამართლებრივი კონსულტაციის მომთხოვნი პირის მიერ სოციალურ ქსელში შეკითხვის განთავსებამ პირთა იდენტიფიცირების პრობლემა გამოიწვიოს. კერძოდ, შესაძლოა სოციალურ ქსელში შეკითხვის ავტორის იდენტიფიცირება ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაშიც, ადვოკატს ეკისრება პროფესიული ვალდებულება სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვაზე გასცეს

სამართლებრივი კონსულტაცია, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, იმოქმედოს პროფესიული მოვალეობების შესაბამისად და დაიცვას ეთიკის სტანდარტები.

დასკვნა:

სოციალურ ქსელში განთავსებულ სამართლებრივ შეკითხვაზე ადვოკატის მიერ თავისი ინიციატივით სამართლებრივი კონსულტაციის გაცემა, მიუხედავად იმისა შეკითხვის ავტორი ნაცნობია თუ არა მისთვს, წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებას და შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია სოციალუ ქსელში განთავსებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იმოქმედოს პროფესიული მოვალეობებისა და სტანდარტების შესაბამისად და კვალიფიციურად გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია შეკითხვის ავტორს.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი:24.04.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/13

შეკითხვა:

ადვოკატსა და კლიენტს შორის მოხდა სიტყვიერი შეთანხმება მომსახურების გაწევის შესახებ. ადვოკატის მითითების შესაბამისად, კლიენტმა მიმართა ნოტარიუსს რწმუნებულების გასაფორმებლად. მეორე დღეს შეხვედრაზე აღმოჩნდა, რომ მინდობილობა კლიენტმა გასცა სხვა პირზე (ქალზე), რომელიც არ არის ადვოკატი. კლიენტი საჯაროდ აცხადებს, რომ მას სურს ურთიერთობა იმ ადვოკატთან, ვისზეც აპირებდა მინდობილობის გაცემას, თუმცა ქალბატონი, რომელზეც შეცდომით გაიცა რწმუნებულება, არაპირდაპირ მიანიშნებს ადვოკატს, რომ მან უარი უნდა თქვას კლიენტის დაცვაზე (მინდობილობა ქალბატონზე გაიცა კლიენტის დაუდევრობით, ასე განმარტა გასაუბრებისას). კლიენტი იყო აზერბაიჯანული ენის მცოდნე და ეგონა, რომ ადვოკატის ოფისში მივიდა. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი? რა ხდება იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ქალბატონის მსგავს მინიშნებას გააკეთებს სხვა ადვოკატი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი:

„ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319 - ე მუხლის პირველი ნაწილი:

„კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც,რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის,მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709 - ე მუხლი:

„დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 720 - ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი:

„დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია.“

„თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, - გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე.“

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709 - ე მუხლის მიხედვით, **აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება,** ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება, უფლებამოსილია, ასევე, თავისუფლად აირჩიოს კონტრაჰენტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი.

ხელშეკრულების თავისუფლების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრის უფლება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთნხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე. მათ უფლება აქვთ მათ შორის ურთიერთობა მოაწესრიგონ ისე, როგორც სურთ, თუმცა, აუცილებელია კანონის ფარგლებში მოქმედება.

დავალების ხელშეკრულების გაფორმებისას მარწმუნებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ურთიერთობა ნებისმიერ დროს. აღნიშნული ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ცალმხრივად და ეს არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვალდებულების დარღვევა. ასეთი უფლება იმით არის განპირობებული, რომ, ჩვეულებრივ, მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის უნდა არსებობდეს განსაკუთრებული ნდობა და, თუ ეს ნდობა დაიკარგა, ორივე მხარეს ნებისმიერ მომენტში უნდა შეეძლოს უარი თქვას დავალების ხელშეკრულებაზე.

განსახილველ შემთხვევაში ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დაწყებული იყო. **ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტი საჯაროდ აცხადებს კონკრეტულად მასთან ურთიერთობის სურვილზე. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე მას შეუძლია აირჩიოს ვისთან სურს რწმუნებულების გაფორმება და ვისთან არა. კლიენტს შეუძლია გააუქმოს შეცდომით გაცემული რწმუნებულება და ადვოკატთან გააფორმოს ახალი.** ვინაიდან არ არის გაწეული არანაირი მომსახურება, არ დადგება დღის წესრიგში აუცილებელი ხარჯებისა და გასამრჯელოს გადახდის საკითხი. კლიენტის სურვილის **შესაბამისად, ადვოკატმა უნდა გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა მასთან. აღნიშნული ადვოკატ-კლიენტის მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. მსგავსი რეგულაცია გავრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც კლიენტის მიერ შერჩეულ ადვოკატს დაცვის განხორციელებაზე უარის თქმაზე მიანიშნებს სხვა ადვოკატი.**

დასკვნა:

თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის დაწყებულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა რწმუნებულება შეცდომით გაიცა სხვა პირზე და ეს პირი არაპირდაპირ მიანიშნებს ადვოკატს, რომლის მიმართაც უნდა გაცემულიყო მინდობილობა, რომ უარი უნდა თქვას დაცვაზე ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტთან შეთანხმებით, თუ მას სურვილი აქვს ადვოკატთან ურთიერთობის გაგრძელებისა, განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა კანონის შესაბამისად.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.02.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/14

შეკითხვა:

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულო წესით იცავს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირ „C”-ს , რომლის კანონიერი წარმომადგენელია დედა, რომელსაც მიაჩნია, რომ მის შვილ “C”-ს არ ჩაუდენია დანაშაული, თუმცა ის ამას ვერ დაადასტურებს, რადგან არ ყოფილა დანაშაულის ადგილზე. “C” ხშირად იცვლის პოზიციებს და ადვოკატთან ბოლო გასაუბრებაზე განაცხადა, რომ მას სურს დანაშაული აღიაროს, თუმცა, ადვოკატს მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რაც „C”-ს დამნაშავეობას

დაადასტურებდა, შესაბამისად, ადვოკატს სურს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვისას განაცხადოს, რომ მის კლიენტს დანაშაული არ ჩაუდენია. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ნორმას?

ანალიზი:

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი სავალდებულო წესით იცავს იმ პირის ინტერესებს, რომელსაც ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არსებობს შეკითხვაში აღნიშნულ ადვოკატსა და კანონიერი წარმომადგენელს შორის. აქედან გამომდინარე, **ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მისი ინტერესების შესაბამისად ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.**

დასკვნა:

ადვოკატი, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ინტერესებს სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, უნდა იმოქმედოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მითითებებით, რაც არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.04.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/14

შეკითხვა:

ლ-ს გაფორმებული ჰქონდა მინდობილობა ც-ს სახელზე, რომლის მიხედვითაც ც-ს შეეძლო ლ-ს უძრავი ქონების განკარგვა. ც-მ მიმართა ადვოკატ გ-ს, რათა საადვოკატო მომსახურება გაეწია ლ-ს სადავო საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა ლ-ს უძრავი ქონების გაყიდვას. ც-მ ადვოკატ გ-ს სახელზე ლ-ს საქმესთან დაკავშირებით გააფორმა მინდობილობა გადანდობის უფლებამოსილების საფუძველზე. ადვოკამა გ-მ აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე გასწია საადვოკატო მომსახურება.

2013 წელს ადვოკატ-გ-მ შეიტყო, რომ მინდობილობა, რომელიც გაფორმებული ჰქონდა ლ-ს ც-ს სახელზე იყო ყალბი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროკურატურას სურს ადვოკატი გ დაკითხოს მოწმის სახით. კერძოდ, პროკურატურას გაანდოს ინფორმაცია თავისი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი გ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, დოკუმენტის გაყალბების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას. ადვოკატმა გ-მ უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და გაამჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე კლიენტი განაცხადებს თანხმობას. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქე ც-ს აღარ უწევს ადვოკატი გ იურიდიულ მომსახურებას, ის ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაიცვას გასული დროის მიუხედავად, რადგან კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

დასკვნა:

ადვოკატმა უნდა დაიცვას საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია გასული დროის მიუხედავად. ამდენად. ადვოკატ გ-მ კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს კლიენტის თანხმობის შემთხვევაში.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.04.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/14

შეკითხვა:

ადვოკატ ბ სისხლის სამართლის საქმეზე იცავს პატიმარ დ-ს ინტერესებს. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია პატიმრის დედასთან. პატიმარს სურს გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მაგრამ პატიმრის დედა ამის კატეგორიული წინააღმდეგია. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ბ ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს, თუ პატიმრის ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა."

ადვოკატი ბ იცავს პატიმარ დ-ს ინტერესებს. მართალია, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია პატიმრის დედასთან, მაგრამ აღნიშნული ხელშეკრულებით ადვოკატმა ბ-მ უნდა დაიცვას პატიმრის ინტერესები. შესაბამისად, მისი **კლიენტი არის პატიმარი დ. ამ შემთხვევაში, ადვოკატმა ბ-მ უნდა იმოქმედოს პატიმრის ინტერესებიდან გამომდინარე.**

დასკვნა:

ადვოკატმა ბ-მ უნდა იმოქმედოს არა პატიმრის მშობლის ინტერესების შესაბამისად, არამედ პატიმრის ინტერესების მიხედვით, რადგან ადვოკატ ბ-ს უშუალო კლიენტი არის პატიმარი დ.

გარანტიების მიცემა საქმის შედეგთან დაკავშირებით

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.11.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/13

შეკითხვა:

კლიენტმა ადვოკატს სთხოვა ჩამოეთვალა სასამართლო დავის შემთხვევაში, მისი საქმის შედეგის შესაძლო ვარიანტები. დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკას შესაძლო შედეგების თაობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებისას?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით"

საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, ადვოკატმა არ უნდა მისცეს გარანტია თავის კლიენტს საქმის შედეგებთან დაკავშირებით. შესაძლოა, ადვოკატი შეპირდეს თავის კლიენტს, რომ მის საქმეს აუცილებლად წარმატებით დაამთავრებს ან განუცხადოს რომ მისი ინტერესი სასამართლო დავის დასრულების შემდეგ აუცილებლად დაკმაყოფილდება. ასეთ შემთხვევებში, სახეზეა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით შესაძლო შედეგებზე კონსულტაციის გაცემა არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას, რადგან **ვარაუდი იმის შესახებ თუ რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს სასამართლო დავა, არ წარმოადგენს კლიენტისათვის გარანტიის მიცემას საქმის შედეგთან დაკავშირებით.**

დასკვნა:

კლიენტის საქმის შედეგის შესაძლო ვარიანტების თაობაზე კლიენტის კონსულტაცია არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემას მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აღვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას.

კლიენტისათვის კვალიფიციური და კეთილინდისიერი წარმომადგენლობის

განხორციელების ვალდებულება

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.03.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/14

შეკითხვა:

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი კლიენტი სთხოვს მისი ინტერესები წარმოადგინოს სისხლის სამართლის საქმეზეც. უნდა შეასრულოს თუ არა ადვოკატმა კლიენტის მითითება მოცემულ შემთხვევაში?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი:

„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი:

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა, შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს მათ დაცვას პირად და სხვა პირთა ინტერესებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი)

ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე #017/11, მიიჩნია, რომ „**კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს და აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში.“**

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს #030/11 გადაწყვეტილებით ,,**საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული**

ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით."

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია უარი განუცხადოს კლიენტს მის მოთხოვნაზე წარმოადგინოს იგი სისხლის სამართლის საქმეზე. კლიენტის მითითების შესრულებით ადვოკატი, სავარაუდოდ, დაარღვევს როგორც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, ასევე „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით." ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აღიარებს კლიენტის ინტერესების უპირატესობას სხვა ინტერესებთან მიმართებით, თუმცა, საზღვარს უწესებს თავად კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპსაც - ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ეთიკისა და კანონის რეგულაციის შესაბამისად.**

დასკვნა:

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს არ აქვს უფლება წარმოადგინოს მისი კლიენტი სისხლის სამართლის საქმეზე, მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მოქმედება შესაძლოა ჩაითვალოს კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევად, რადგან ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ განახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად.

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საქმის მსვლელობისა და საქმის მოსალოდნელი ხარჯების თაობაზე

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.03.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/14

შეკითხვა:

ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში ახორციელებდა მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას, რომლის მიმართაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი. დაცვის ორდერის და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ახორციელებს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში, ორდერის მოქმედების ვადად განსაზღვრულია – აპელაცია. სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილებოდა პროკურორის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, რომელიც ითხოვდა გამოყენებული პირობითი მსჯავრის შეცვლას პატიმრობით, რაც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ.

მსჯავრდებული, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში და სააპელაციო სასამართლოში დასკვნითი სიტყვის ეტაპამდე, ანუ ის არ დასწრებია სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ადვოკატის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმას და არ უსარგებლია საბოლოო სიტყვის წარმოთქმის უფლებით. დღეისათვის მისი (მსჯავრდებულის) ადგილსამყოფელი ადვოკატისათვის უცნობია და შესაბამისად უცნობია მისი პოზიცია საკასაციო წესით გასაჩივრების თაობაზე.

შეკითხვა: იმისათვის რომ ადვოკატმა არ დაურღვიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს დაცვის უფლება, როგორ უნდა მოიქცეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატი: უნდა გაასაჩივროს თუ არა ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი პირადად, დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, დადგენილ 1 თვიან ვადაში? თუ არ უნდა

გაასაჩივროს მისი დასაცავი პირის თანხმობის გარეშე? რომ არ მოუსპოს მას დაკავების ან გამოცხადების შემთხვევაში გასაჩივრების უფლება?

ანალიზი:

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი:

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი:

„ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ **,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“**

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ **,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“**

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვიდან არ ჩანს, რომ ადვოკატი ახორციელებდა სავალდებულო დაცვას. ამიტომ, სიტუაცია უნდა განიხილოს მე-8 მუხლის მეორე ნაწილის შემდეგი რეგულაციის შესაბამისად: "ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ... მითითებით". აქედან გამომდინარე, ადვოკატი არაა ვალდებული გაასაჩივროს განაჩენი პირადი ინიციატივით, რადგან ადგილი არ აქვს სავალდებულო დაცვას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. შეკითხვაში მითითებული გარემოებების მიხედვით, როგორც ორდერის, ასევე, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განეხორციელებინა სააპელაციო სასამართლოში, შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება დასაცავი პირი წარმოედგინა უზენაეს სასამართლოში. პროფესიული ეთიკის კოდექსით ადვოკატს ამოწურული აქვს თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა და მას აღარ აქვს ვალდებულება საკუთარი ინიციატივით გააგრძელოს დავა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალებები და ხერხი უნდა გამოიყენოს და იგი არ უნდა მოქმედებდეს ბრალდებულის მითითებების და ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მოცემულ შემთხვევაში "მითითება" არარსებობს. ხოლო ბრალდებულის "ინტერესების" არსებობაზე არაფერია ცნობილი. სრულიად დასაშვებია ბრალდებულს სურდეს, რომ შემდგომში, დაკავების ან გამოცხადების შემდეგ ჰქონდეს გასაჩივრების უფლება. ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება კი შეიძლება გახდეს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება. მოცემული პირობებით, აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება იქნება არა უკანონო, არამედ უნებართვო, რაც ეწინააღმდეგება ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატისათვის არ არის ცნობილი ინფორმაცია კლიენტის ნებისა და ინტერესის შესახებ, მან, აღნიშნული ინფორმაციის შეტყობის გარეშე არ უნდა განახორციელოს მოქმედება კლიენტის სახელით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არ არის ვალდებული გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან მას არ აქვს მითითება კლიენტისაგან. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. ასევე, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადვოკატს არ გააჩნია უზენაეს სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობის უფლება, ვინაიდან ორდერი გაცემულ იქნა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობისათვის. ასევე, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ახორციელებს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.10.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 021/14

შეკითხვა:

იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს ევალებოდა წარმოედგინა კლიენტი პირველი ინსტანციის სასასამართლოში. კლიენტმა ადვოკატს გადასცა საქმის მასალები, რომელიც ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებათა სახით.

საქმე კლიენტისათვის არასასურველი შედეგით დასრულდა. ადვოკატმა, უცხოეთში მყოფ კლიენტს შეატყობინა საქმის შედეგი, მისივე თხოვნით, ასევე, აღნიშნულთან დაკავშირებით გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებაც. მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია ადვოკატმა სრულად დაუბრუნა კლიენტს, სადაც, ასევე, მიუთითა, რომ დასაშვებია გადაწყვეტილების გასაჩივრება განსაზღვრულ დროში. ამჟამად, ყოფილი კლიენტი სთხოვს შეკითხვის ავტორს, მოითხოვოს სასამართლოდან საქმის მასალები.

სწორად მოიქცა თუ არა ადვოკატი? თუ ყოფილი კლიენტი მიმართავს საჩივრით ეთიკის კომისიას და მიუთითებს, რომ ადვოკატმა არ შეასრულა რომელიმე ვალდებულება, როგორი იქნება ეთიკის კომისიის მოქმედება ამ შემთხვევაში?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი:

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი:

„ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.“

“ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი:

„მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ **,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“ მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვიდან არ ჩანს, რომ ადვოკატი ახორციელებდა სავალდებულო დაცვას. ამიტომ, სიტუაცია უნდა განიხილოს მე-8 მუხლის მეორე ნაწილის შემდეგი რეგულაციის შესაბამისად: "ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის … მითითებით".**

შეკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატმა შეასრულა ზემოაღნიშნული ნორმებით მითითებული მოთხოვნები, კერძოდ, მან წარმოადგინა კლიენტი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების მიხედვით, მიაწოდა ინფორმაცია საქმის შედეგის, შესაძლო მოქმედებების შესახებ და დაუბრუნა მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია. ადვოკატმა, კლიენტის მითითების მიხედვით, ასევე, სატელეფონო, მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა მას საქმის შედეგისა და შემდგომი შესაძლო მოქმედებების შესახებ. რაც შეეხება სასამართლოდან საქმის მასალების გამოთხოვის საკითხს, აღნიშნულის უფლება აქვს თავად კლიენტს. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დასრულებულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატი, სავარაუდოდ, ვერ გამოითხოვს სასამართლოდან დოკუმენტაციას მისი ყოფილი კლიენტის საქმეზე, ახალი რწმუნებულების არსებობის გარეშე.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, წინასწარ სავალდებულოდ ვერ განისაზღვრება საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგი.კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

დასკვნა:

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მოქმედებდა პროფესიული ეთიკის რეგულირების ფარგლებში, რაც გამოიხატა კლიენტის ინფორმირებულობით, მისი მითითებით მოქმედებითა და საქმის მასალების დაბრუნებით. ადვოკატს, სავარაუდოდ, მისი ყოფილი კლიენტის საქმის მასალების გამოთხოვის უფლება სასამართლოდან ექნება იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს იმ დროს მოქმედი რწმუნებულება.

შეკითხვის ავტორის ყოფილ კლიენტს შეუძლია საჩივრით მომართოს ეთიკის კომისიას ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის წესი

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.06.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/14
შეკითხვა:
ადვოკატმა აწარმოა კლიენტის საქმე. მან კლიენტთან შეთანხმებით მოიძია და გამოითხოვა სხვადასხვა დოკუმენტაცია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში, მაგრამ აღნიშნული არ განუხორციელებია, რის შესახებ წინასწარ გააფრთხილა კლიენტი. ადვოკატს მიაჩნდა, რომ მის კლიენტს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა სხვა ადვოკატის მომსახურებით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა დაარღვია თუ არა პროფესიული ეთიკის ნორმები?
ანალიზი:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით: „ ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. “
განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს ადვოკატმა როდის განუცხადა უარი თავის კლიენტს, რომ აღარ დაიცავდა მის ინტერესებს სასამართლოში. იმ შემთხვევაში, **თუ გონივრული ვადის ფარგლებში ადვოკატმა წინასწარ გააფრთხილა მისი კლიენტი აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატის მიერ არ იქნებოდა დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი.**
დასკვნა:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის დარღვევას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესების სასამართლოში წარმოდგენაზე უარს განაცხადებს ისე, რომ კლიენტს ექნება შესაძლებლობა და გონივრული ვადა, იმისათვის, რომ ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული მომსახურებით.

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და შესაბამისი განაკვეთის კლიენტთან წინასწარ შეთანხმება

ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/13
შეკითხვა:
ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას საერთო სპეციალიზაციით მეორე ადვოკატთან ერთად. ხელშეკრულებას იურიდიული მომსახურების შესახებ კლიენტთან დებს ორივე A და B. აღებული ჰონორარი ირიცხება B ადვოკატის ანგარიშზე და საგადასახადოსთან ანგარიშსწორებაც ხდება კანონით დადგენილი წესით. თანხა (ჰონორარი) ადვოკატებს შორის ნაწილდება მათ შორის არსებული შეთანხმების (ხელშეკრულების)საფუძველზე. არღვევს თუ არა A ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს ?
ანალიზი:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატისანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“.

ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი და გადახდის ვადები.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.4.1 მუხლი მიხედვით: „ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი".

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №027/10 აღნიშნა: **„საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება".**

მოცემულ შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ, რამდენად იქნება A ადვოკატის მიერ დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ კლიენტის ინტერესების დაცვას განახორციელებს ორი ადვოკატი (A და B) კლიენტთან გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო კლიენტის მიერ ორივე ადვოკატის ჰონორარი ჩაირიცხება B ადვოკატის ადვოკატის ანგარიშზე, რომელიც ადვოკატთა შორის განაწილდება მათ შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

საადვოკატო მომსახურება იწყება ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმება შეიძლება არსებობდეს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო ორივე ადვოკატთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება არამხოლოდ მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, არამედ ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა, გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები.**

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას განმარტავს, რომ **ადვოკატების მიერ ერთობლივი პასუხისმგებლობით კლიენტის საქმის წარმოების შემთხვევაში, ადვოკატთა შორის ჰონორარი შესაძლებელია განაწილდეს მათი შეთანხმების შესაბამისად, თითოეულის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციულად ან სხვა წესით, თუკი კლიენტი ეთანხმება ჰონორარის ადვოკატებისათვის ამგვარი წესით განაწილებას.**

განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნულ კლიენტთან ორივე ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო მომსახურებას წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, ორივე ადვოკატმა უნდა უზრუნველყონ კლიენტის ინფორმირება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობისა და მისი გადახდის პირობების შესახებ. შეკითხვიდან ირკვევა, რომ კლიენტი ორივე ადვოკატის იურიდიული მომსახურების ჰონორარს რიცხავს ერთ-ერთი ადვოკატის ანგარიშზე. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია კლიენტსა და ორივე ადვოკატს შორის არსებობდეს ურთიერთშეთანხმება, რომ B ადვოკატის ანგარიშზე დარიცხული ჰონორარი არის ორივე ადვოკატის საადვოკატო მომსახურების ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატებს არ ეზღუდებათ შეთანხმდნენ დამოუკიდებლად კლიენტის მიერ გადახდილი ჰონორარის განაწილების შესახებ.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვაში აღნიშნული A ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო მომსახურებას B ადვოკატთან ერთად კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, B ადვოკატის ანგარიშზე კლიენტის მიერ დარიცხული ჰონორარის A ადვოკატთან განაწილებით, A ადვოკატის მიერ არ იქნება დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ორი ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვისას, ადვოკატების მომსახურების ჰონორარი ირიცხება B ადვოკატის ანგარიშზე და აღნიშნული ჰონორარი ნაწილდება ადვოკატთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ადვოკატი A არ დაარღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილს, თუ ორივე ადვოკატის საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების შესახებ ადვოკატთა შორის შეთანხმება ცნობილი და მისაღები იქნება კლიენტისათვის.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.04.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/13

შეკითხვა:

შეთანხმებულია საადვოკატო საქმიანობის საზღაურის სრული ოდენობა და გადახდის განაწილვადების წესი - თანხის ნაწილს კლიენტი გადაიხდის სასამართლო საქმის დასრულებამდე, დარჩენილ ნაწილს კი საქმის დასრულების შემდეგ. კლიენტი არ იხდის შეთანხმებულ საზღაურს, ვინაიდან დასრულდა სასამართლო საქმის განხილვა. აქვს თუ არა ადვოკატს უფლება მოითხოვოს წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურება?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა წინასწარ უნდა აცნობოს კლიენტს ანაზღაურების განაკვეთი და გამოთვლის წესი. ჰონორარი მხოლოდ მაშინ იქნება განსაზღვრული და შეთანხმებული მხარეებს შორის, როდესაც ნორმის შესაბამისად წინასწარაა დადგენილი გამოთვლის წესი და ის მისაღებია კლიენტისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული თანხის გადახდის განსხვავებული წესი - თანხის გადახდა განაწილვადებით, ანაზღაურების საერთო თანხა წინასწარ ცნობილი და მისაღები იყო კლიენტისათვის. შესაბამისად, ადვოკატს აქვს უფლება მოითხოვოს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების გადახდა.

დასკვნა:

თუ შეთანხმებულია საადვოკატო საქმიანობის საზღაურის სრული ოდენობა და გადახდის განაწილვადების წესი - თანხის ნაწილის გადახდა სასამართლო საქმის დასრულებამდე, ნაწილის კი საქმის დასრულების შემდეგ და კლიენტი არ იხდის შეთანხმებულ საზღაურს, ვინაიდან დასრულდა სასამართლო საქმის განხილვა. ადვოკატს უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურება.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.04.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/13

შეკითხვა:

ადვოკატი გარკვეული დროის მანძილზე კლიენტს მომსახურებას უწევდა უფასოდ, რის შემდეგაც მან კლიენტს განუმარტა, რომ მომავალი კონსულტაციებისათვს დადგენილი საზღაურის გადახდა დასჭირდებოდა. კლიენტთან შეთანხმება კონსულტაციისათვის გადასახდელ ჰონორარზე შედგა - თითოეული კონსულტაცია განისაზღვრა 50 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, კლიენტმა არ გადაიხადა ფასიანი კონსულტაციის თანხა. აქვს თუ არა ადვოკატს უფლება მოსთხოვოს კლიენტს შეთანხმებული საზღაურის გადახდა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა წინასწარ უნდა აცნობოს კლიენტს ანაზღაურების განაკვეთი და გამოთვლის წესი. იურიდიული მომსახურების ანაზღაურება ჩაითვლება შეთანხმებულად მაშინ, როდესაც, ნორმის შესაბამისად, წინასწარაა განსაზღვრული გამოთვლის წესი და ის მისაღებია კლიენტისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა განუმარტა კლიენტს, რომ კონსულტაციის გაწევა ფასიანი იქნებოდა და შეუთანხმდა თითოეული კონსულტაციის ღირებულებაზე - 50 ლარზე. შესაბამისად, ანაზღაურების განაკვეთი

წინასწარ იყო ცნობილი კლიენტისათვის. მანაღნიშნულზე თანხმობა განაცხადა. შესაბამისად, ადვოკატს აქვს უფლება მოსთხოვოს კლიენტს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

დასკვნა:

თუ ადვოკატი კლიენტს წინასწარ შეუთანხმებს საადვოკატო მომსახურების თანხას და კლიენტი თანხმობას განუცხადებს აღნიშნულზე, ადვოკატს უფლება აქვს მოითხოვოს ამ პირობით გაწეული კონსულტაციების შესაბამისი ანაზღაურება.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/13

შეკითხვა:

მოქალაქე ადვოკატს მიმართავს მარტივი საკითხის თაობაზე კონსულტაციის მიღების მიზნით (მაგ. კლიენტს ხელთ აქვს ყველა საჭირო დოკუმენტი, იმისათვის რომ მოხდეს მიწის დაკანონება) და ადვოკატს სთხოვს დაეხმაროს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოპოვებაში. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, თუ ამგვარ მარტივ საქმესთან დაკავშირებით გაუწევს კლიენტს მომსახურებას და აიღებს ჰონორარს, მაშინ როდესაც აღნიშნული მოქმედების განხორციელება კლიენტს თავადაც შეუძლია.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე...“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დაუყოვნებლივ იწყებს კლიენტის კონსულტირებას, იწყება ადვოკატის მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, მოქალაქემ მიმართა ადვოკატს დახმარებოდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების მოპოვებაში. ადვოკატის მიერ ამ საკითხზე კონსულტაციის გაწევის მომენტიდან დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კერძოდ, ადვოკატის მიერ დოკუმენტაციის შემოწმება და ინფორმაციის მიწოდება, იმის თაობაზე, რომ კლიენტს ყველა საჭირო დოკუმენტი აქვს და მარტივად შეძლებს მიწის დაკანონებას და განუმარტავს პროცედურებს თუ როგორ მოიპოვოს საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, წარმოადგენს ადვოკატის მიერ კონსულტაციის გაწევას. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ კონსულტაციასთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღება ურთიერთშეთანხმებული უნდა ყოფილიყო კლიენტთან, რაც არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა. **ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს, ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშების წესისა და გადახდის ვადების შესახებ, რაც მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის.**

დასკვნა:

თუ ადვოკატი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუწევს კონსულტაციას კლიენტს და დაეხმარება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებაში, რომლის განხორციელებაც კლიენტს თავადაც შეუძლია, ადვოკატის მიერ არ დაირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუ აღნიშნულ მომსახურებაში ჰონორარს აიღებს, იმ შემთხვევაში თუ საადვოკატო მომსახურების ოდენობის თაობაზე შეუთანხმდება კლიენტს.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ არის ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებული ჰონორარის ოდენობა და საქმის მოგების შემდეგ ადვოკატი საადვოკატო მომსახურებისთვის კლიენტს მოსთხოვს მოგებული საქმის 25 პროცენტის გადახდას, დაირღვევა თუ არა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, მაშინ როდესაც კლიენტმა სხვა იურისტებთან კონსულტაციისას გაარკვია, რომ ასეთი საქმის მოგებისას, მხოლოდ საქმის მოგების 10 პროცენტის გადახდა ადვოკატისთვის საკმარისი იქნებოდა.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის".

საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, როგორც მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობის, გამოთვლის წესის, გადახდის ფორმისა და ვადების თაობაზე.

ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტს შეუთანხმდეს პირობით ანაზღაურებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, მოგებული თანხის 25 პროცენტის მოთხოვნა ადვოკატის მიერ შესაძლებელი იქნებოდა, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით შეუთანხმდებოდა კლიენტს წინასწარ. **რეკომენდირებულია, რომ ადვოკატის მომსახურების ოდენობა კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს, რომელიც მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის.**

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ შეუთანხმდებოდა წინასწარ კლიენტს, რომ საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოგებული თანხის 25 პროცენტი იქნებოდა ჰონორარის ოდენობა, ადვოკატის მიერ დაირღვეოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი. საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა, გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის .

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.05.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/14

შეკითხვა:

ადვოკატ ა-მ თავისი კლიენტი ბ, რომელიც მსჯავრდებულია, რამდენჯერმე მოინახულა საპატიმრო დაწესებულებაში გაუწია იურიდიული კონსულტაცია. აღნიშნულ კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ადვოკატს უნდა მიეცეს ჰონორარი საადვოკატო მომსახურებისათვის, თუმცა კონკრეტულად ჰონორარის ოდენობაზე მხარეების არ შეთანხმებულან. შეუძლია თუ არა ადვოკატმა მოსთხოვოს კლიენტ ბ-ს გადაუხადოს მას ჰონორარის ის ოდენობა, რამდენსაც მოითხოვს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის."

საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობა წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და შეთანხმებული კლიენტთან. მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მხარეები ზოგადად შეთანხმდნენ, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის კლიენტი ვალდებული იყო გადაეხადა ადვოკატისათვის ჰონორარი, თუმცა კონკრეტულად არ განუსაზღვრავთ, თუ რას მოიცავდა საადვოკატო მომსახურება, რომელშიც კლიენტს უნდა გადაეხადა თანხა, ასევე არ განსაზღვრულა ჰონორარის ოდენობა, გადახდის წესი. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატს ეკუთვნის გასამრჯელო საადვოკატო მომსახურებისათვის, თუმცა კლიენტისათვის მისაღები უნდა იყოს ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი.

დასკვნა:

კლიენტისათვის წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი საადვოკატო მომსახურების ოდენობა და მისი გადახდის წესი. ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებისას მნიშვნელოვანია, განსაზღვრული და შეთანხმებული იყოს კლიენტთან ჰონორარის ოდენობა და მისი გადახდის წესი.

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტა საქმის შეწყვეტის პატივსადები საფუძვლით

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/14

შეკითხვა:

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა კლიენტ „ბ"-ს ინტერესებს. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ჰონორარის ოდენობა. კლიენტი „ბ" არ იხდის საადვოკატო მომსახურების ჰონორარს, რის საფუძველზეც ადვოკატს სურს შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, „ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით".

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ განისაზღვრა ჰონორარის ოდენობა. ამ შემთხვევაში, **ადვოკატს შეუძლია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმას, ისეთ შემთხვევაში, როდესაც კლიენტს შეუძლია ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.**

დასკვნა:

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არ არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, თუ კლიენტი არ უხდის მას საადვოკატო მომსახურების ჰონორარს და არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც მას ხელს შეუშლის ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული მომსახურებით.

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტების, ფულადი სახსრების ან სხვა ქონების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.11.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 018/13
შეკითხვა:
ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელებისას დაკითხა მოწმეები და შეადგინა გამოკითხვის ოქმები. კლიენტმა საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, ადვოკატს სთხოვა მისთვის გადაეცა აღნიშნული მოწმეების გამოკითხვის ოქმების ასლები. კლიენტს სურდა აღნიშნული ოქმების ასლები წარედგინა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მართებული იქნება თუ არა რომ ადვოკატმა გადასცეს თავის კლიენტს მოწმეთა გამოკითხვის ოქმების ასლები?
ანალიზი:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნაწილის მიხედვით: „კლიენტისინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.
ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების/დაბრუნების ვალდებულებასაც.
მოცემულ შემთხვევაში, გამოკითხვის ოქმები წარმოადგენდა კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რომელიც ადვოკატმა საქმის წარმოების პროცესში შეადგინა. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია გადასცეს თავის კლიენტს მოცემული დოკუმენტები საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას.
დასკვნა:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას, კლიენტს დაუბრუნოს დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს მოწმეების გამოკითხვის ოქმებს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.06.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/14
შეკითხვა:
ადვოკატი მუშაობს საადვოკატო ბიუროში. საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, კლიენტმა ბ-მ ადვოკატს სთხოვა მის საქმესთან დაკავშირებით წარმოებული საქმის მასალები გადაეცა მისთვის. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული საქმის მასალები ინახება საადვოკატო ბიუროში, რადგანაც ბიუროს ჰქონდეს მონაცემები მათ მიერ წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით. ადვოკატმა თავის ყოფილ კლიენტს შესთავაზა საქმის მასალების ასლების გადაღება. ამასთან, ადვოკატი აღნიშნავს, რომ საქმის მასალები დიდი მოცულობისაა და ასლების გადაღების ხარჯები ყოფილმა კლიენტმა უნდა დაფაროს. ამ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები?
ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

განსახილველ შემთხვევაში, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი ადვოკატს ავალდებულებს, საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, კლიენტს დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, რაც მოიცავს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემულ დოკუმენტაციასა და საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის საქმესთან დაკავშირებით შექმნილ დოკუმენტებს. აღნიშნული საქმის მასალები ეკუთვნის კლიენტს** და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტ ბ-ს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტაცია. საადვოკატო ბიუროს, რომელსაც სურს მის მიერ წარმოებულ საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტების შენახვა, შეუძლია გადაიღოს საქმის მასალების ასლები თავისი ხარჯით, ხოლო დოკუმენტების ორიგინალი გადასცეს კლიენტს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ დაუბრუნებს ყოფილ კლიენტს საქმის მასალებს და კლიენტს განუცხადებს, რომ ვინაიდან დოკუმენტაცია დიდი მოცულობისაა, კლიენტმა თავისი ხარჯით გადაიღოს ასლები, ხოლო ორიგინალი საადვოკატო ბიუროში დარჩება, დაარღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილს, ვინაიდან ადვოკატი ვალდებულია დაუბრუნოს თავის ყოფილ კლიენტს საქმის მასალები.

ადვოკატის საქმიანობისას რეკლამირების წესის დარღვევა

ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.08.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/13
შეკითხვა:

ხომ არ ექნება ადგილი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-თ (შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) დადგენილი საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისათვის დადგენილი წესების ფარგლების დარღვევას, ადვოკატის მხრიდან, მისი საქმიანობის შესახებ შემდეგი შინაარსის რეკლამირებისას:

„გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და ჩვენ დაგეხმარებით მის ამოღებაში".

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლი: „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე."

ადვოკატმა, საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას, უნდა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხის რეგულირებას, ასევე, ახდენს **ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი,** რომლის მიხედვით, **„ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის**

ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით." ადვოკატი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს.

რეკლამის ცნებას განსაზღვრავს **„რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტი,** რომლის მიხედვით **რეკლამა არის „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში–საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას."**

ადვოკატის მიერ გამოყენებული ტექსტი - „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და ჩვენ დაგეხმარებით მის ამოღებაში" არის რეკლამა „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვინაიდან არის გავრცელებული ინფორმაცია მომსახურებაზე, ფიზიკურ პირზე (შეკითხვის შესაბამისად კონკრეტულ ადვოკატზე), გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ემსახურება მომსახურებისადმი ინტერესის ფორმირებასა და რეალიზაციის ხელშეწყობას.

განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად არის დაცული ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად, უნდა გაირკვეს, საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისათვის შეკითხვაში მითითებული ტექსტის გამოყენებით, დაცულია თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლით დადგენილი მოთხოვნები: გავრცელებული ინფორმაციის სისწორე; პროფესიის ძირითადი ფასეულობების დაცვა; კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე მიუთითებლობა.

ადვოკატი, რეკლამის მიხედვით, პოტენციურ კლიენტებს პირდება უიმედო ვალების ამოღებაში დახმარებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სარეკლამო ტექსტი მხოლოდ მაშინ იქნება შეცდომაში შემყვანი, თუ ადვოკატი არ გაუწევს კლიენტებს სამართლებრივ დახმარებას უიმედო ვალებთან დაკავშირებულ საქმეებზე, რადგან იგი სარეკლამო ტექსტში მომხარებელს არ პირდება გარანტირებულ დამაკმაყოფილებელ შედეგს. შეკითხვაში მოცემული გარემოებებიდან არ ჩანს ადვოკატის მიერ კლიენტებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევაზე უარის თქმის ფაქტი. შესაბამისად, სავარაუდოდ, დაცულია საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლით განსაზღვრული პირველი წესი.

ადვოკატი, საქმიანობის განხორციელებისას და, მათ შორის, საქმიანობის რეკლამირებისას ვალდებულია იცავდეს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს. შეკითხვაში მითითებული სარეკლამო ტექსტის გავრცელებით ადვოკატი არ არღვევს ამ ფასეულობებს, ვინაიდანაღნიშნული რეკლამით არ ირღვევა საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები. სარეკლამო ტექსტის მიხედვით ადვოკატის მიერ არ ხდება გარანტირებული შედეგის დაპირება, მითითება ხდება მხოლოდ სამართლებრივ დახმარებაზე უიმედო ვალების ამოღებასთან დაკავშირებით, რაც არ მოიცავს კლიენტისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგის დადგომის აუცილებლობას.

რეკლამაში გაკეთებულია ზოგადი მითითება უიმედო ვალებთან დაკავშირებული პრობლემების არსებობასთან და არა რომელიმე ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის მიუხედავად მხარისათვის სასარგებლო შედეგის არარსებობასთან დაკავშირებით („გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში?"), შესაბამისად, არ ხდება მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე, დაცულია საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლით განსაზღვრული მესამე წესი.

დასკვნა:

ადვოკატის მხრიდან, მისი საქმიანობის შესახებ შემდეგი შინაარსის სარეკლამო ტექსტის გავრცელებით: „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და ჩვენ დაგეხმარებით მის ამოღებაში" არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი მე-8[1] მუხლი. აღნიშნული სარეკლამო ტექსტი არ არის შეცდომაში შემყვანი, არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს, და არ ხდება მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.03.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/13

შეკითხვა:

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-ს (შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) 8[1] მუხლის თანახმად: „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე (სტილდაცული ციტატა).

გთხოვთ, დასაბუთებული მოტივაციით მაცნობოთ, შენობაში, სადაც განთავსებულია რამოდენიმე ადვოკატისაგან შემდგარი საადვოკატო ბიურო და მასზე განთავსებულია აბრა „ადვოკატურა" (ყველა სარგებლობს ხსენებული ერთი აბრით), ასევე თუ იქ, ხსენებული ბიუროსაგან დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად მუშაობენ ადვოკატები, რომელთა საქმიანობის აღნიშვნა მოცულია ერთ საერთო ზ/დასახელებულ აბრაში - „ადვოკატურა", ხოლო მათგან ერთ-ერთი ადვოკატის მხრიდან „ხაზგასმულად", საქმიანობაში უპირატესობის აღსანიშნავად განხორციელდება დამატებითი აბრის დამაგრება წარწერით „ადვოკატი (სახელი, გვარი)" მასზე დამატებითი წარწერის აღნიშვნით „ყოფილი მოსამართლე", - შესაძლებელია თუ არა წარმოიშვას „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-ს 8[1] მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ნორმის შემადგენლობა.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 პრიმა მუხლი: „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე."

ადვოკატმა თავისი საქმიანობის რეკლამირების დროს უნდა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 პრიმა მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.

აღნიშვნის ღირსია **ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი,** რომლის მიხედვით, **„ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით."**

ადვოკატი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირებაც სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს.

შეკითხვის მიხედვით, საადვოკატო ბიუროს საქმიანობა მოცულია ერთ აბრაში - წარწერით „ადვოკატურა", ხოლო მის ქვემოთ განთავსებულია დამატებითი აბრა წარწერით „ადვოკატი, სახელი, გვარი, ყოფილი მოსამართლე".

განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად არის დაცული ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, შეკითხვაში აღნიშნული აბრები რამდენად წარმოადგენენ რეკლამის სახეს.

„რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლის ნაწილის მიხედვით, რეკლამა განმარტებულია, როგორც „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში–საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას."

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში აღნიშნული ორივე წარწერა გაკეთებულია აბრებზე, რომელთა განთავსების მიზანს წარმოადგენს ადვოკატების საქმიანობის რეკლამირება. კერძოდ, შენობის გარე ფასადზე აბრების განთავსება წარწერებით „ადვოკატურა“ და „ადვოკატი (სახელი, გვარი) ყოფილი მოსამართლე“, გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, თუმცა **იმისათვის რომ წარწერა ჩაითვალოს რეკლამად, აბრა უნდა განთავსდეს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში აღნიშნული წესის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც: „ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა.შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც.“ ასევე დაცული უნდა იყოს რეკლამის განთავსების წესი ამავე კანონის მე–6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: „რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2-8 პუნქტებით.“**

იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვაში აღნიშნული წარწერები განთავსებული იქნება „რეკლამის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ამის შემდეგ შეიძლება შეფასდეს ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვაში მოცემული პირველი აბრა წარწერა „ადვოკატურა“ მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსებულია საადვოკატო ბიურო და შესაბამისად, აბრის წაკითხვის შემდეგ არსებობს მოლოდინი, რომ იურიდიული კონსულტაციის მიღების მსურველს შეუძლია მიმართოს აღნიშნულ ბიუროს, თუმცა, **წარწერა „ადვოკატურა“ არის ზოგადი ინფორმაციის შემცველი და რეკომენდირებულია, საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი და საქმიანობის აღნიშვნა არ იყოს გვარეობითი ცნებით გამოხატული, როგორიცაა „ადვოკატურა“, რაც საყოველთაოდ გამოიყენება და დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას.**

განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვის შესაბამისად უნდა შეფასდეს მეორე აბრაზე განთავსებული წარწერით – „ადვოკატი (სახელი, გვარი)“ მასზე დამატებითი წარწერის აღნიშვნით „ყოფილი მოსამართლე“, ხომ არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 პრიმა მუხლი. აღნიშნული წარწერიდან მკითხველი იგებს არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის ვინაობას, არამედ ეს წარწერა შეიცავს დამატებით ინფორმაციას ადვოკატის პროფესიული გამოცდილების შესახებ, რომ მას აქვს მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება. ორივე რეკლამის შედარებისას შესაძლოა ყურადღება მიიქციოს იმ წარწერამ, სადაც მითითებულია კონკრეტული ინფორმაცია ადვოკატის შესახებ, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ პირი ამ აბრების წაკითხვის შემდეგ უპირატესობას აუცილებლად მიანიჭებს იმ ადვოკატს, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება აქვს, რადგან შესაძლოა საადვოკატო მომსახურების მიღების მსურველისათვის არ იყოს მისაღები იმ ადვოკატისგან იურიდიული კონსულტაციის მიღება, რომელიც ყოფილი მოსამართლე იყო.

იმ შემთხვევაში, თუ მეორე აბრაზე გაკეთებული წარწერა არ არის მცდარი და შეცდომაში შემყვანი, რაც გულისხმობს, რომ წარწერაზე აღნიშნულ პირს აქვს მოქმედი ადვოკატის სტატუსი და ნამდვილად იყო მოსამართლე, დაცული იქნება საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 პრიმა მუხლის შემდეგი მოთხოვნები: გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შეფასებას საჭიროებს, თუ რამდენად არის დაცული ზემოთაღნიშნული მუხლის შესაბამისად პროფესიის ძირეული ფასეულობები და ხომ არ უთითებს პირდაპირ ან ირიბად კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, დამატებითი აბრა განთავსებულია იმ აბრის ქვემოთ, რომელსაც აწერია „ადვოკატურა“. განსახილველია, თუ რამდენად არის ირიბი მითითება წარწერა „ყოფილი მოსამართლე“ შეკითხვაში აღნიშნულ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატების საქმიანობის მიმართ და ეს სარეკლამო აბრა ხომ არ მიანიშნებს და ქმნის ილუზიას, რომ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებთან შედარებით აღნიშნული ადვოკატი უფრო

გამოცდილი და პროფესიონალია. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ადვოკატმა დამატებით აბრაზე მიუთითა კონკრეტული ინფორმაცია მისი პროფესიული გამოცდილების შესახებ, რისი უფლებაც მას ჰქონდა, რაც არ არის ირიბი მითითება შეკითხვაში აღნიშნულ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატების იურიდიულ მომსახურებაზე. დამატებით აბრაზე განთავსებული წარწერა არის ერთგვარი ინფორმაცია ადვოკატის შესახებ, რაც გარე რეკლამის სახითაა წარმოდგენილი,რომელიც ადვოკატის აზრით არის მომგებიანი მისი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ საადვოკატო ბიუროს საქმიანობა აღნიშნულია ერთ აბრაზე წარწერით „ადვოკატურა“ და იქვე მეორე აბრაზე განთავსებულია ამავე საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატის „სახელი, გვარი“ და წარწერა „ყოფილი მოსამართლე“, ამ წარწერით არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე–8 პრიმა მუხლი, რადგან აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონრეტული ადვოკატის ვინაობასა და მის პროფესიულ გამოცდილებას, რაც არის ამ ადვოკატის საქმიანობის რეკლამირების ერთ–ერთი საშუალება, კერძოდ, გარე რეკლამის განთავსებით პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ინფორმაციის მიწოდება მის შესახებ, თუმცა რეკომენდირებულია საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი და საქმიანობის აღნიშვნა არ იყოს გვარეობითი ცნებით გამოხატული, როგორიცაა „ადვოკატურა“, რაც საყოველთაოდ გამოიყენება და დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.07.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/13

შეკითხვა:

გთხოვთ, დასაბუთებული მოტივაციით მაცნობოთ, ხომ არ ექნება ადგილი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ს 8[1] ან სხვა რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ეთიკური ნორმის დარღვევას ადგილი, თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებული ეკრანიდან საინფორმაციო ან სარეკლამო რგოლებში მონაწილეობს საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, სხვა ადვოკატთაგან პროფესიული უპირატესობის ხაზგასასმელად სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთი კონკრეტული წევრი ადვოკატი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლი: „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.“

ადვოკატმა თავისი საქმიანობის რეკლამირების დროს უნდა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას, უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.

აღნიშვნის ღირსია **ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი,** რომლის მიხედვით, **„ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის**

შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით."

ადვოკატი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირებაც სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს.

„რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლის პუნქტის მიხედვით, რეკლამა განმარტებულია, როგორც „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში–საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას."

განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად არის დაცული ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, შეკითხვაში აღნიშნული სარეკლამო რგოლში მონაწილეობა რამდენად წარმოადგენს რეკლამის სახეს. ამისათვის უნდა განვიხილოთ ორი ვარიანტი.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ეკრანზე გავა ე.წ სასამართლოს რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სასამართლოში სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისათვის გაცნობას (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-საიტზე http://tcc.gov.ge/ განთავსებული სასამართლოს რეკლამა) და ამ რეკლამაში გამოჩნდება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრი, როგორც რომელიმე სასამართლო პროცესის მონაწილე ან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედების განმახორციელებელი, ეს არ ჩაითვლება მის რეკლამად და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, არ ჩაითვლება დარღვეულად ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8^1 მუხლი.

თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებულ ეკრანზე მოხდება კონკრეტული საადვოკატო ბიუროს ან ადვოკატის რეკლამირება და ეს რეკლამა გამიზნულია სხვა ადვოკატთაგან პროფესიული უპირატესობის ხაზგასასმელად, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8^1 მუხლი, რომლის მიხედვითაც საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებდეს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე. თუმცა, აღნიშნულ ეკრანებზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო სამსახურის განმარტებით, დაუშვებელია რაიმე სახის პროდუქციის ან საქმიანობის რეკლამირება. შესაბამისად, მოცემული შემთხვევა პრაქტიკაში არ განხორციელდება.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებულ ეკრანზე გავა ე.წ. სასამართლოს რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სასამართლოში სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისათვის გაცნობას, ამ რეკლამაში ადვოკატის მონაწილეობა არ ჩაითვლება მის რეკლამად. თუ აღნიშნულ ეკრანებზე მოხდება კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მომსახურების რეკლამირება და რეკლამა პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8^1 მუხლი. თუმცა, მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში არ განხორციელდება, ვინაიდან სასამართლოში დაუშვებელია რაიმე სახის საქონლის ან მომსახურების რეკლამირება.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/13

შეკითხვა:

იურიდიული ფირმა მიუთითებს სატელევიზიო რეკლამაში, ფეისბუქზე, გაზეთებში და სავიზიტო ბარათზე, რომ მათი შპს არის საერთაშორისო იურიდიული ფირმა. რაც აბსოლუტური ტყუილია. ფირმის დამფუძნებელი არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ კომპანიის სამი იურისტი არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. რა სანქცია შეიძლება დაეკისროს კომპანიას ან მასში მომუშავე ადვოკატებს?

„ თუ გსურთ კვალიფიციური ადვოკატების მომსახურება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ გსურთ უიმედო ვალების ამოღება მოგვმართეთ ჩვენ ტელ. ---------. საერთაშორისო იურიდიული ფირმა „----------‘’.

აღნიშნული ტექსტის ფონზე სატელევიზიო რეკლამაში გადის დამფუძნებლის ფოტოსურათი (რომელიც ადვოკატთა ასოციაციის წევრი არ არის) და კომპანიაში მომუშავე სხვა ადვოკატების ფოტოსურათები (რომლებიც ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან).

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლი: „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.“

ადვოკატმა, საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას, უნდა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხის რეგულირებას, ასევე, ახდენს **ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი,** რომლის მიხედვით, „ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია **სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით.” ადვოკატი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს.**

რეკლამის ცნებას განსაზღვრავს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტი, რომელიც განმარტავს, რომ რეკლამა არის „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში–საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.“

იურიდიული ფირმის მიერ გავრცელებული ტექსტი - „თუ გსურთ კვალიფიციური ადვოკატების მომსახურება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ გსურთ უიმედო ვალების ამოღება მოგვმართეთ ჩვენ ტელ. ---------. საერთაშორისო იურიდიული ფირმა „----------‘’“ არის რეკლამა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ვინაიდან არის გავრცელებული ინფორმაცია მომსახურებაზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ემსახურება საქონლისადმი ინტერესის ფორმირებასა და რეალიზაციის ხელშეწყობას.

მოცემულ შემთხვევაში, დამატებით უნდა გაირკვეს რა სახის ელემენტს უნდა შეიცავდეს იურიდიული ფირმის საქმიანობა, რომ მას ეწოდოს საერთაშორისო. კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს საერთაშორისო იურიდიული

ფირმის ცნებას, თუმცა, **გონივრული განმარტებისა და არსებული პრაქტიკის მიხედვით იურიდიული ფირმა შესაძლოა იყოს საერთაშორისო შემდეგ შემთხვევებში: ფირმას აქვს სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი ფილიალი; მისი დამფუძნებელი არის უცხოური იურიდიული ფირმა; ფირმაში უნდა მუშაობდეს ადვოკატი, რომელსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს იურიდიული პრაქტიკის განხორციელების უფლებამოსილება; ფირმის საქმიანობაში სხვა სახით არის მოცემული უცხოური ელემენტი, რომელიც უკავშირდება საადვოკატო მომსახურების გაწევას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინ საერთაშორისოს გამოყენების შემთხვევა - საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლი განმარტავს საერთაშორისო ფინანსური კომპანიის ცნებას და უთითებს, რომ „საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციის განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ერთობლივი შემოსავლის 10 პროცენტს“, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი დაკავშირებული უნდა იყოს უცხოეთის წყაროსთან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი პირდაპირ არ განსაზღვრავს საერთაშორისო იურიდიული ფირმის ცნებას, ტერმინ „საერთაშორისოს“ უკავშირებს უცხოური ელემენტის არსებობას, რაც კონკრეტულ - საერთაშორისო ფინანსური კომპანიის შემთხვევაში შემოსავლის მიღების წყაროში გამოიხატება.**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლის შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული უცხოური ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სარეკლამო ტექსტში იურიდიული ფირმის საერთაშორისო იურიდიულ ფირმად მოხსენიება შესაძლოა არღვევდეს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების წესს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკისკოდექსის მე-8[1] მუხლი შესაძლოა, ზოგადად, დაირღვეს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი ან პარტნიორი ადვოკატების მიერ, ვინც მიიღო გადაწყვეტილება შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსების თაობაზე. ასევე, იმ ადვოკატის მიერ, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს აღნიშნულ იურიდიულ ფირმაში, მიუხედავად იმისა, რომ საქმის კურსშია რეკლამის არაეთიკურობის შესახებ და არ მიუღია გონივრული ზომები აღნიშნული დარღვევის შეწყვეტისათვის, ვინაიდან იგი, პირდაპირ ან ირიბად, სარგებლობს იმ იურიდიული ფირმის სახელით, რომელიც რეკლამაში საერთაშორისო იურიდიულ ფირმად არის მითითებული. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა დამოკიდებული იყოს რეკლამის შედეგად ადვოკატის მიერ მიღებულ სარგებელზე, ადვოკატის ჩართულობაზე რეკლამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადვოკატის მიერ მიღებულ ზომებზე იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი პირებისათვის რეკლამის არაეთიკურობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად და ა.შ.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“ შესაბამისად, საპროცესო კოლეგია არ გასცემს რეკომენდაციას შესაძლო სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული ფირმა ავრცელებს ტექსტს, რომელიც არის რეკლამა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით და ამ ტექსტში მიუთითებს, რომ ის არის საერთაშორისო იურიდიული ფირმა, ხოლო ფირმის საქმიანობაში არ არის რაიმე სახით მოცემული უცხოური ელემენტი, რომელიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლით დადგენილი საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების წესი. გადაცდომა შესაძლოა განხორციელდეს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი ან პარტნიორი ადვოკატის მიერ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მსგავსი რეკლამის განთავსების თაობაზე, ასევე, იმ ადვოკატის მიერ, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს აღნიშნულ იურიდიულ ფირმაში, მიუხედავად იმისა, რომ საქმის კურსშია რეკლამის არაეთიკურობის შესახებ და არ მიუღია გონივრული ზომები აღნიშნული დარღვევის შეწყვეტისათვის. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საპროცესო კოლეგია არ გასცემს რეკომენდაციას შესაძლო სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.03.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/14

შეკითხვა:

ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, როდესაც საადვოკატო ბიუროს სლოგანია „შედეგიანი პასუხისმგებლობა“

ანალიზი:

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადგენს სადვოკატო საქმიანობის პრინციპებს, რომელთა შორისაა: **საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა** (ქვეპუნტი “ბ”), **საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა** (ქვეპუნქტი “დ”), **ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა** (ქვეპუნქტი “ე”), **ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა** (ქვეპუნქტი “თ”); **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის** შესაბამისად **“ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით”,** ხოლო მერვე პრიმა მუხლი არეგულირებს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხს, რომლის თანახმად, **“ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.”**

“რეკლამის შესახებ” საქართველოს კანონი არ განმარტავს ცნებას “სლოგანი”, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სლოგანის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დასამახსოვრებელი ლაკონიური, სხარტი და გასაგები ფრაზით მიაწოდოს პირთა განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ წრეს მთავარი იდეა ან მიზანი, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება, ზოგადად პროფესიული საქმიანობის ან კონკრეტული პირის სწრაფვას ასახავს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სლოგანის შინაარსი არ საჭიროებდეს დამატებით განმარტებას, ხანგრძლივ მსჯელობას, თუ რაში მდგომარეობს მისი ძირითადი იდეა.

ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული და ადვოკატებს, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, საკუთარი საქმიანობის შესახებ ყველაზე ეფექტიანი, ლაკონიური და დახვეწილი გამონაქვამით, ფრაზით თუ სიტყვათა წყობით ინფორმაციის თავისუფლად მიწოდება უნდა შეეძლოთ, პროფესიული სტანდარტის შესატყვისად. პოტენციური მომხმარებლების ან ზოგადად პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, საადვოკატო საქმიანობის შესახებ დასამახსოვრებელი სლოგანის გამოყენება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საქმიანობის, პროფესიული ღირებულებებისა და კონკრეტული პირის იმიჯის წარმოსაჩენად.

შეკითხვა სწორედ რეკლამის შესახებ რეგულირებასთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია გაირკვეს, საადვოკატო ბიუროს სლოგანი “შედეგიანი პასუხისმგებლობა” რა კონტექსტით შეიძლება იქნეს აღქმული პოტენციური კლიენტის თუ ზოგადად საზოგადოების მხრიდან. მითითებული სიტყვათა წყობა შინაარსობრივად ბუნდოვანია, არ იძლევა ფრაზის მნიშვნელობის გასაგებად განმარტების შესაძლებლობას და შეკითხვებს ბადებს; რას ასახავს კონკრეტული სლოგანი: საადვოკატო ბიუროს პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულებას საქმისადმი და კლიენტისათვის სასურველი შედეგისაკენ სწრაფვას თუ კლიენტისათვის მნიშვნელოვან იურიდიულ ინტერესზე, როგორც საქმის შედეგზე, პასუხსიმგებლობას.

შეკითხვაში მითითებული სლოგანის სახით გამოყენებული ფრაზა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზს ტოვებს და მიზანშეწონილი არ არის მისი გამოყენება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8

მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, რადგან სლოგანის სიტყვები მაღალი ალბათობით აღიქმება, როგორც გარანტია საქმის შედეგზე. ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში კლიენტთან ურთიერთობისას, ერთ-ერთი ძირეული ფასეულობაა ადვოკატის მიერ საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, ამასთან, რეკლამის რეგულირებასთან დაკავშირებით, ეთიკის კოდექსის მე-8 პრიმა მუხლი უთითებს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას ინფორმაციის იმგვარად გავრცელებაზე, რაც შეცდომაში შემყვანი არ იქნება ნებისმიერი მესამე პირისათვის. სლოგანში გამოყენებული სიტყვები: "შედეგიანი პასუხისმგებლობა" შესაძლოა მიმზიდველი აღმოჩნდეს პოტენციური მომხმარებლისათვის და არასწორი მოლოდინი გააჩინოს კლიენტის საქმის შედეგზე საადვოკატო ბიუროს მიერ პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებით.

დასკვნა:

საადვოკატო ბიუროს მიერ სლოგანის "შედეგიანი პასუხისმგებლობა" გამოყენება მიზანშეწონილი არ არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე პუნქტისა და მე-8 პრიმა მუხლის შესაბამისად, რადგან სლოგანში მითითებული სიტყვების შინაარსის ერთმნიშვნელოვნად განმარტება შეუძლებელია, სლოგანის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია შესაძლოა შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს პოტენციური მომხმარებლისათვის და აღქმული იქნეს, როგორც გარანტია კლიენტის იურიდიული ინტერესიდან გამომდინარე, მისთვის მნიშვნელოვან საქმის შედეგზე. საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის დაუშვებლობა საადვოკატო საქმიანობაში ერთ-ერთი ძირეული პროფესიული ღირებულებაა ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის საქმიანობისა და პროფესიული დამოუკიდებლობისთვის.

სასამართლოს ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელ

სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების დაცვა

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.03.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/13

შეკითხვა:

გთხოვთ, დასაბუთებული მოტივაციით მაცნობოთ, სასამართლოში საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლისათვის სამართალწარმოებისას წერილობითი ფორმით მიმართვებისას, ასევე საქმის ზეპირი მოსმენით ღია სხდომაზე სასამართლოსთან ურთიერთობისას, ხომ არ ექნება ადგილი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-ს რომელიმე ეთიკური ნორმის დარღვევას ადგილი, თუ ადვოკატის მხრიდან მოსამართლის მისამართით გამოყენებული იქნება შემდეგი ფრაზებიდან რომელიმე:

ა) „თქვენო განსწავლულობავ";

ბ) „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფეევ";

გ) „ჭეშმარიტების გამოხატულებავ";

დ) „თქვენო გამორჩეულობავ";

ე) „თქვენი (ან „სასამართლოს") კვალიფიციურობის იმედად";

ვ) „თქვენი (ან „სასამართლოს") უბადლო პროფესიონალიზმის იმედად".

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები." ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9

მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს."

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა, რაც გულისხმობს მოსამართლისადმი პატივისცემას პროფესიული ეთიკის შესაბამისად. ადვოკატმა არ უნდა შელახოს სამართალწარმოებაში მონაწილე პირების უფლებები და უნდა დაიცვას პროფესიული ღირსება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(2000)21 ადგენს: „ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად."

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზეN076/10 აღნიშნა: **„ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსამჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების" გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ."**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „Kyprianou V Cyprus" (განაცხადი N 73797/01) აღნიშნა, რომ **„ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალურ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი წარმოადგენს შუამავალს ხალხსა და სასამართლოს შორის. მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელებაში და საჯარო ნდობას გაამართლებენ. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვის. "**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.V. Switzerland (განაცხადი 10414/83) აღნიშნა: **„პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა."**

მოცემულ შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ, რამდენად იქნება დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ მოსამართლისადმი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართვის დროს გამოყენებული იქნება შეკითხვაში აღნიშნული შემდეგი ფრაზები: „თქვენო განსწავლულობავ"; "პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფეევ"; „ჭეშმარიტების გამოხატულებავ"; „თქვენო გამორჩეულობავ"; „თქვენი (ან „სასამართლოს") კვალიფიციურობის იმედად"; „თქვენი (ან „სასამართლოს") უბადლო პროფესიონალიზმის იმედად".

აღნიშნული ფრაზებიდან **მიმართვის ფორმებს არ წარმოადგენს „თქვენი (ან „სასამართლოს") კვალიფიციურობის იმედად"; „თქვენი (ან „სასამართლოს") უბადლო პროფესიონალიზმის იმედად". მოცემული ფრაზები ასახავს განმცხადებლის მოსამართლისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას.** შეკითხვა ეხება მიმართვის ფორმების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან და, შესაბამისად, რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისიამ შეაფასა შეკითხვაში აღნიშნული ის ფრაზები, რომლებიც მიმართვის ფორმით არის წარმოდგენილი.

საზოგადოდ, მოსამართლისადმი მიმართვის ფორმად მიღებულია ისეთი სახის ტრადიციული ფრაზები, როგორიცაა: „თქვენო ღირსებავ", „პატივცემულო მოსამართლე", „ბატონო/ქალბატონო მოსამართლე". ამგვარი სახით მიმართვების გამოყენება მოსამართლისადმი, როგორც მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლისადმი პატივისცემის გამოხატვაა.

განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული **მიმართვები, როგორიცაა „თქვენო განსწავლულობავ"; „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფეევ"; „ჭეშმარიტების გამოხატულებავ"; „თქვენო გამორჩეულობავ" გაზვიადებულად ჟღერს, არ წარმოადგენს ტრადიციული მიმართვის ფორმებს, გადაჭარბებულად აფასებს მოსამართლეს და ირონიული ხასიათის მქონედ შეიძლება იყოს აღქმული ადრესატის და პროცესზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან.**

"ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ: **„ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე." აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს ადვოკატისათვის შეუზღუდავი დაცვის გარანტიების მინიჭებას. ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი ექვემდებარება შეზღუდვებს, თუ მისი განცხადებები წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ან მოსამართლის შეურაცხყოფას ან სხვაგვარად აყენებს ზიანს სამართალწარმოების ინტერესს.**

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლისადმი მიმართვის დროს, შეკითხვაში ჩამოთვლილი ფრაზების გამოყენება ვერ იქნება კლიენტის ობიექტური ინტერესი და შესაბამისად სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს. აღნიშნული **მიმართვები, როგორიცაა: „თქვენო განსწავლულობავ"; „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ"; „ჭეშმარიტების გამოხატულებავ"; „თქვენო გამორჩეულობავ"; გაზვიადებულად ჟღერს და ირონიულ ხასიათს ატარებს, რაც შეუსაბამოა ადვოკატისათვის მინიჭებულ იმუნიტეტთან, არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტს. შესაბამისად, აღნიშნული ფრაზები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მოსამართლისადმი პატივსაცემად აღსანიშნავი სიტყვები.**

მოსამართლისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაშიც, ადვოკატმა არ უნდა გამოიყენოს შეკითხვაში აღნიშნული ფრაზები: „თქვენო განსწავლულობავ"; „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ"; „ჭეშმარიტების გამოხატულებავ"; „თქვენო გამორჩეულობავ"; რადგან მათ გამოყენება სცილდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. სასამართლო პროცესზე ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და პროფესიული ღირებულებების დაცვითა და სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების შესაბამისად განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.

დასკვნა:

მოსამართლისადმი, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, მიმართვის დროს შემდეგი ფრაზების გამოყენება „თქვენო განსწავლულობავ"; „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ"; „ჭეშმარიტების გამოხატულებავ"; „თქვენო გამორჩეულობავ" გადაჭარბებული, გაზვიადებულია და ობიექტური დამკვირვებლის მიერ ირონიულ ხასიათის მატარებლად შეიძლება იქნას აღქმული. შესაბამისად, აღნიშნული ფრაზებით მოსამართლისადმი მიმართვით დაირღვევა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე– 5 მუხლის „გ" პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის პირველი ნაწილი, რომლებიც ადვოკატს ავალდებულებს პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებსა და სამართალწარმოებაში მონაწილე პირებს.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.05.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მოწმის შეცდომაში შეყვანას (მაგ: მოსამართლე მიმართავს მოწმეს, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ჩვენებას, მაშინ, როდესაც წინააღმდეგობა სახეზე არ არის), შეუძლია თუ არა ადვოკატს მიმართოს მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით: ,,პატივცემულო მოსამართლეე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე". ასეთი გამონათქვამი ჩაითვლება თუ არა ეთიკურად?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს."

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა, რაც გულისხმობს მოსამართლისადმი პატივისცემას პროფესიული ეთიკის შესაბამისად. ადვოკატმა არ უნდა შელახოს სამართალწარმოებაში მონაწილე პირების უფლებები და უნდა დაიცვას პროფესიული ღირსება.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(2000) 21 ადგენს: „ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად."

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.1 მუხლი განსაზღვრავს: „ადვოკატი, რომელიც იმყოფება ან მონაწილეობს საქმეში სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე რომელიმე წევრ სახელმწიფოში ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედი ქცევის წესები."

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.3 მუხლი უთითებს: „სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად."

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე 076/10 აღნიშნა: **„ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების" გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება" მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ."**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში ,,საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (საქმე N 31/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: **,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს."**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში Skalka V. Poland (განაცხადი #43425/98 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ **„დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში, წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისაგან."**

მოცემულ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ რამდენად იქნება დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ მოსამართლისადმი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართვის დროს მოსამართლის ქმედების შეფასებისას გამოყენებული იქნება შეკითხვაში აღნიშნული შემდეგი ფრაზა: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე." შეკითხვა ეხება აღნიშნული განცხადების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ

ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე." აღნიშნული ნორმის საფუძველი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპია, ვინაიდან „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენის ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა." (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი).

გამოხატვის თავისუფლებას ყოველთვის აქვს გამოყენების ლეგიტიმური მიზანი. მოცემულ შემთხვევაში, არ ჩანს რომ ადვოკატის გამოხატვის მიზანი იყო საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრედიტაცია. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ, შუამდგომლობის მიხედვით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ შესაძლო ხარვეზზე აქცენტის გაკეთებას (,,პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე.") და კლიენტის ინტერესების დაცვას. **აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს მის ინტერესს თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და შეაფასოს იგი, რასაც ექნება „შემზღუდველი ეფექტი."**

ადვოკატს შეუძლია გააკრიტიკოს მოსამართლე ისე, რომ არ გასცდეს პროფესიულ საკითხებზე კრიტიკის ფარგლებს, ამ შემთხვევაში, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე ადვოკატს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს და მიუთითოს იმის შესახებ, რომ ის არასწორად (არაზუსტად) წარმოადგენს ან ციტირებს ისეთ ფაქტებზე და გარემოებებზე, რაც არ ფიქსირდება სხვა საქმეში. ადვოკატს, ასევე, უფლება აქვს მიუთითოს მოსამართლეს მიკერძოების ან შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის შესახებ, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, როგორც სხდომაზე, ასევე წერილობით საჩივარში მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსამართლისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაშიც, ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს შეკითხვაში აღნიშნული ფრაზა: ,,პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე." რომელიც არ სცილდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მოწმის შეცდომაში შეყვანას, ადვოკატის შეფასება შემდეგი სიტყვებით: ,,პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე", არ ჩაითვლება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევად, ვინაიდან მიმართვა განპირობებული იყო კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობით, არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავდა მოსამართლის ღირსების შელახვას. შესაბამისად, მიმართვა დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და არ სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს.

სასამართლოსთვის ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელი სხვა ორგანოსთვის წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების მიწოდება

ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/13
შეკითხვა:
იმ შემთხვევაში, თუ პირმა მემკვიდრეობით მიიღო ბებიის ქონება, საცხოვრებელი სახლის ½ წილი. აიღო სამკვიდრო მოწმობა, მაგრამ ვერ შეძლო საჯარო რეესტრში გატარება ამ ქონების, რადგან სახლის მეორე ნახევრის მესაკუთრემ არ შეუშვა მხაზველები ეზოში, ვერ გაკეთდა ნახაზი რეესტრში წარსადგენად. ამის შემდეგ

გავიდა თვეები. თანხის უქონლობის გამო ვერ მიმართეს მხაზველებს იძულებითი შეყვანის თაობაზე. ორივე მხარის ადვოკატებს ჰქონდათ მოლაპარაკება, თუმცა უშედეგოდ. სამკვიდროს აღებიდან 6 თვის მერე, ბინის მეორე ნაწილის მესაკუთრემ და მისმა ადვოკატმა A-მ მიმართეს სასამართლოს, მოითხოვეს მეორე ნახევარის ქონების უმკვიდროდ ცნობა. (მაშინ როცა იცოდა ადვოკატმა A-მ მემკვიდრის არსებობის შესახებ და იცნობდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ B-ს). ადვოკატმა A-მ მოსამართლე შეიყვანა შეცდომაში და დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა. აღნიშნულმა ადვოკატმა B-მ, რომელმაც იცოდა მემკვიდრის არსებობა და იცნობდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ B-ს, მაინც მოითხოვა ქონების უმკვიდროდ ცნობა ცრუ ფაქტებისა და ყალბი მტკიცებულებების მითითებით. რამდენად ირღვევა ამ შემთხვევაში კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატ A-ს მხრიდან?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით: „ადვოკატივალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, მე-12 პარაგრაფი: „ადვოკატმა,როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად“.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 5.1.1 მუხლი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობას და თანამშრომლობას მათი კლიენტების სასარგებლოდ და არა საჭირო სასამართლო გარჩევისა და სხვა საქციელების მიზნით, რომელიც პროფესიის რეპუტაციისათვის საზიანოა. თუმცა, კლიენტის ინტერესების წინ პროფესიის ინტერესების დაყენება არასოდეს არის გამართებული.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.“

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას.** ეთიკის კომისიამ 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე № 2743/05/07 დაადგინა: **„ადვოკატმა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და გამოხატოს პატივისცემა კოლეგისადმი, მიუხედავად მისი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მხარის არსებობისა/მდგომარეობისა“**

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი A ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას. კერძოდ, ის იცავდა კლიენტის ინტერესებს სამემკვიდრეო დავაზე. შეკითხვის მიხედვით, უნდა განვიხილოთ, დაიცვა თუ არა კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატმა A-მ სასამართლოში სარჩელის წარდგენით ქონების მეორე ნახევრის უმკვიდროდ ცნობის თაობაზე, მაშინ როდესაც აღნიშნული ადვოკატი იცნობდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს და ჰქონდა ინფორმაცია მემკვიდრის არსებობის შესახებ. აღნიშნული საფუძვლები არ წარმოადგენს ადვოკატ A-ს მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას, რადგან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების შესაბამისად.

ადვოკატის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, არ წარმოადგენს კოლეგის უპატივცემულობასა და პროფესიული სტანდარტების დარღვევას, იმ საფუძვლით, რომ ადვოკატი იცნობდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს.

შეკითხვაში აღნიშნული მეორე საფუძველი, იმის თაობაზე, რომ ადვოკატ A-ს ჰქონდა ინფორმაცია ქონების მემკვიდრის არსებობის შესახებ და ამ ქონების უმკვიდროდ ცნობის თაობაზე მიმართა სასამართლოს, ასევე არ წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას, რადგან ადვოკატი A ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას. **ქონების მემკვიდრის არსებობის შესახებ ინფორმაციის ქონა არ უკრძალავს ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოში სარჩელი წარადგინოს ქონების უმკვიდროდ ცნობასთან დაკავშრებით. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ადვოკატმა იმოქმედოს პროფესიული ღირებულებების შესაბამისად და კლიენტის ინტერესები დაიცვას პატიოსნად, უშიშრად და კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც კანონით აკრძალული არ არის.**

შეკითხვიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა A-მ ცრუ ფაქტების მითითებით მოითხოვა ქონების მეორე ნახევრის უმკვიდროდ ცნობა. ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას კანონსაწინააღმდეგოდ არ უნდა იმოქმედოს. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა სასამართლოს არ წარუდგინოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება და არ მიუთითოს ცრუ ფაქტობრივ გარემოებებზე.** განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი. ადვოკატმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც

სინამდვილეს არ შეესაბამება და არ წარადგინოს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებები, რომლებიც ყალბია და ამის თაობაზე ადვოკატისათვის ცნობილია.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ არ იქნება დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლი იმ შემთხვევაში, თუ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, ადვოკატმა სასამართლოში სარჩელი წარადგინა ქონების უმკვიდროდ ცნობის თაობაზე, მაშინ როდესაც ადვოკატი იცნობდა მოწინააღმდეგე მხარის ადცოკატს და ჰქონდა ინფორმაცია ქონების მემკვიდრის არსებობის შესახებ. ადვოკატის მიერ სასამართლოს წინაშე წინასწარი შეცნობით ცრუ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და ყალბი მტკიცებულებების წარდგენა არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილს.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.10.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი სასამართლოს წარუდგენს ყალბ მტკიცებულებებს და მისთვის ცნობილია ამ მტკიცებულებების სიყალბის შესახებ, არღვევს თუ არა იგი კანონისა და ეთიკის ნორმებს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი: ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.“

ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპის დაცვას ემსახურება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიც, რომელიც ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული მუხლი ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას უფრო მაღლა განიხილავს, ვიდრე კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობას.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით, /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ მიუთითა, რომ **„ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში.“**

ადვოკატი, საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოქმედებდეს კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. **იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიაწოდა ყალბი მტკიცებულება და მისთვის ცნობილი იყო ამ მტკიცებულებების სიყალბის შესახებ, შესაძლოა მის ქმედებაში ფიქსირდებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა.**

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა- განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური

წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, ეთიკის კომისიის იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიაწოდა წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება, მის ქმედებაში შესაძლოა ფიქსირდებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

კოლეგის პატივისცემის ვალდებულება

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/13

შეკითხვა:

ადვოკატი იცავს სისხლის სამართლის საქმეში კონკრეტული პირის ინტერესებს. აღნიშნულ საქმეზე დასაზუსტებელი იყო მოწმედ დაკითხული პირის ჩვენება. მოწმე ადვოკატს უნდა შეხვედროდა მისი დეიდის თანდასწრებით, რომელიც, ასევე, ადვოკატი იყო. მოწმის განცხადებით, მის დეიდას არ სურდა შეკითხვის ავტორთან მისვლა და სთხოვა მის სადარბაზოსთან შეხვედროდნენ და ესაუბრათ. ადვოკატმა მოწმეს განუმარტა, რომ საკითხი არ იყო სადარბაზოსთან გასარკვევი და თუ მოწმის დეიდას არ სურდა შეხვედრა, მოწმეს უფლება ჰქონდა სხვა ადვოკატი აეყვანა და მისი თანდასწრებით შეხვედროდა. მოწმის დეიდამ ამ განცხადების საპასუხოდ ყვირილით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა შეკითხვის ავტორს და

დაადანაშაულა ჩვენების გამოძალვის მცდელობაში. შეიძლება იყოს თუ არა ეს კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის ვალდებულების დარღვევა და სახდელის რა სახეები შეიძლება დაეკისროს ადვოკატს? შეიძლება ეთიკის ნორმების ფარგლებში იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც მოწმეს სურს ჩვენების მიცემა, ადვოკატი კი მას ეწინააღმდეგება?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №023/11/ დაადგინა, რომ **,,ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, ადვოკატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“**

ადამიანის უფლებათა შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. აღნიშნული დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუმცა, იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ,,ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება.“

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით.“ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას.“

ადვოკატის მიერ კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება და ჩვენების გამოძალვაში ბრალის დადება, დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა არღვევდეს ადვოკატებს შორის არსებულ კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის ვალდებულებას. თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით ირღვევა მისი უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდენის შესაძლო ჩადენის თაობაზე.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, რეკომენდაციათა პროექტის იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ **"ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“ შესაბამისად, ეთიკის კომისია არ ახორციელებს ადვოკატის ტაქტიკის არსებით სამართლებრივ შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის ქმედებებში დაფიქსირდება კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმათა დარღვევა, ადვოკატს უფლება აქვს მომართოს ეთიკის კომისიას კოლეგის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.**

დასკვნა:

ადვოკატის მიერ კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება და ჩვენების გამოძალვაში ბრალის დადება, დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა არღვევდეს ადვოკატებს შორის არსებულ კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის ვალდებულებას. ადვოკატს შეუძლია საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.07.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ ორ პირს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, დამქირავებელი იყო შპს, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე არ უხდიდა გამქირავებელს ხელშეკრულებით გათვალიწინებულ თანხას. გამქირავებელმა მიმართა ადვოკატ A-ს კონსულტაციის გაწევისათვის, ვინაიდან მას ჰქონდა ეჭვი, რომ ხელშეკრულების მხარე აპირებდა ფართის მიტოვებას ისე, რომ არ გადაუხდიდა საიჯარო ქირას. ადვოკატმა A-მ მას ურჩია გამოეყენებინა გირავნობის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 568-ე მუხლის მიხედვით: „ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიწის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, თუკი ეს განხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად.“ სსკ-ის 267-ე მუხლის პირველი ნაწილი: „ერთი და იგივე ქონება შეიძლება რამდენჯერმე დაგირავდეს. გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად.“ სსკ-ის 267-ე მუხლის მე-2 ნაწილი: “თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს სამომავლო ქონება, მაშინ დამგირავებლის მიერ ქონების შეძენის შემთხვევაში წინა მესაკუთრის დროს წარმოშობილი გირავნობის უფლება წინ გაუსწრებს ახალი მესაკუთრის დროს წარმოშობილ გირავნობის უფლებას, მიუხედავად მათი წარმოშობის თარიღისა.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „ამ კოდექსის 568-ე, 586-ე, 596-ე, 634-ე, 685-ე და 796-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოგირავნეს აქვსგირავნობის საგნიდან თავისი მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება ყველა სხვა მოგირავნესთან შედარებით“. გამქირავებელმა დამქირავებლის ნივთები ფართში ჩაკეტა ნაქირავები ფართის გარეთ არსებული დამატებითი გისოსების მეშვეობით. დამქირავებელმა ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციის შეტყობის შემდეგ სიტუაციის გასარკვევად ორჯერ გამოიძახა, ვინაიდან, მისი განცხადებით, ხელი ეშლებოდა მის სამეწარმეო საქმიანობას. ადგილზე გამოცხადდა ადვოკატი A, რომელმაც განუმარტა პატრულის თანამშრომლებს გირავნობის უფლების გამოყენების შესახებ. გამქირავებელმა დამქირავებელს დაუბრუნა სალარო აპარატი, სამეწარმეო ბეჭედი, ბუღალტრული დოკუმენტაცია და სამეწარმეო საქმიანობის განსახოციელებლად აუცილებელი სხვა ნივთები.

გარკვეული დროის შემდეგ საქმეში, დამქირავებლის მხარეზე ჩაერთო სხვა ადვოკატი C, შეიტყო რომ გამქირავებელმა გირავნობის უფლება ნივთებზე გამოიყენა მისი ადვოკატის - A-ს კონსულტაციის შემდეგ, მისივე რჩევით გამქირავებლის ადვოკატს სატელეფონო საუბრისას განუცხადა, რომ მან და მისმა კლიენტმა ერთობლივად ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივი დანაშაული, კერძოდ - თვითნებობა და ამის შესახებ ის და მისი კლიენტი აპირებდნენ მიემართათ პროკურატურისათვის. სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვაზე უარის პირობად დამქირავებლის ადვოკატი გამქირავებლის ადვოკატს ულტიმატუმის სახით სთავაზობდა გარიგებას, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, კერძოდ ის აღარ მიმართავდა საჩივრით პროკურატურას და ამის სანაცვლოდ გამქირავებელს უარი უნდა ეთქვა სასარჩელო მოთხოვნებზე, ასევე სრულად გადაეცა მის ფართში განთავსებული პროდუქცია თითქოსდა დამქირავებელს სწორედ იმ ოდენობის ზიანი მიადგა, რა რაოდენობით ქირაც იყო დარჩენილი გადასახდელი მის მიერ. (განცხადებებს არ ახლდა მითითება ზიანის დამადასტურებელ რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე) ამავე დროს იგი საუბარში ირწმუნებოდა, რომ მის საადვოკატო საქმიანობისას ჰქონდა მსგავსი პრაქტიკა, რა დროსაც ასეთი პირები ანუ გამქირავებელი მიეცა სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში, როგორც თვითნებობის ჩამდენი და მისი საუბარი ანუ მუქარა, გაფრთხილება ულტიმატუმი იყო რეალური საფრთხის მატარებელი.

გამქირავებლის ადვოკატმა შესთავაზა მას სხვადასხვა გზა, რომელიც მოაგვარებდა პრობლემას, თუმცა დამქირავებელმა თანხმობა არ განაცხადა და მისმა ადვოკატმა არ შეწყვიტა ულტიმატუმის ენით საუბარი. როდესაც

მოლაპარაკების მცდელობის მიზნით კვლავ შეხვდნენ გამქირავებლის ადვოკატის სამუშაო ოფისში, გამქირავებლის ადვოკატმა მის კოლეგას განუცხადა, რომ ადვოკატი არღვევდა ეთიკის ნორმებს, რადგან მის განცხადებებში იყო მცდელობა ზეწოლა მოეხდინა მასზე, როგორც ადვოკატზე და ეს ერთგვარად მუქარადაც კი აღიქმებოდა. შეთანხმება არც სასამართლო სხდომაზე მოხდა. გამქირავებლის ადვოკატი არ დათანხმდა აღნიშნულ გარიგებას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა კლიენტის ინტერესების დაზარალებას. დამქირავებელმა ადვოკატის მითითებით, მუქარის შესაბამისად, მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, რაც გამქირავებლის ადვოკატმა შეიტყო პოლიციის მიერ განხორციელებული ზარით. ის დაიბარეს სამართალდამცავ ორგანოში და შედგა გასაუბრების ოქმი.

ამ შემთხვევაში, დამქირავებლის ადვოკატის მიერ ამ მოქმედებებით დაირღვა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები? ჰქონდა თუ არა ადგილი გავლენის მოხდენის მცდელობას დამქირავებლის ადვოკატის მიერ გამქირავებლის ადვოკატზე? სახეზეა თუ არა ადვოკატ C-ს მხრიდან მეორეს მიმართ პროფესიული თავისუფლების შელახვის ფაქტი? დაარღვია თუ არა გამქირავებლის ადვოკატმა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე- 7 და მე–10 მუხლების მოთხოვნები?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

“ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების” მე-12 პარაგრაფის მიხედვით: „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.“ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს თავისუფლად, ღირსეულად, კანონისა და ეთიკის წესების შესაბამისად. ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა პატივი სცეს თავის კოლეგას.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №069/11 დაადგინა: **„ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელთაც მათ პროფესია აკისრებს“.**

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: **„ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება.“ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით“. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სიტყვისა და გმოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას.**

შეკითხვის მიხედვით, დამქირავებლის ადვოკატმა C-მ გამქირავებლის ადვოკატს ტელეფონის მეშვეობით აცნობა, რომ მან და მისმა კლიენტმა ერთობლივად ჩაიდინეს სისხლისამართლებრივი დანაშაული, კერძოდ თვითნებობა. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი C ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, კერძოდ, იცავდა კლიენტის ინტერესებს. სატელეფონო საუბრისას მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ A-სა და მისი კლიენტის ქმედების შეფასებას, რომელიც არ სცილდება ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და მიზნად არ ისახავს კოლეგის ღირსების შელახვას.

შეკითხვაში ასევე აღნიშნულია, რომ სატელეფონო საუბრისას დამქირავებლის ადვოკატმა C-მ განაცხადა, რომ თავის კლიენტთან ერთად აპირებდა საჩივრით მიემართა პროკურატურისათვის გამქირავებლის ადვოკატ A-სა და

მისი კლიენტის წინააღმდეგ. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა C-მ დამქირავებლის ადვოკატს აცნობა, რომ გამოიყენებდა ერთ-ერთ სამართლებრივ ბერკეტს.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ დამქირავებლის ადვოკატმა გამქირავებლის ადვოკატს აცნობა, რომ არ მიმართავდა საჩივრით პროკურატურას, თუ გამქირავებელი უარს იტყოდა სასარჩელო მოთხოვნებზე და ასევე სრულად გადასცემდა დამქირავებელს მის ფართში განთავსებულ პროდუქციას, ვინაიდან მისი აზრით, დამქირავებელს სწორედ იმ ოდენობის ზიანი მიადგა, რა ოდენობითაც ქირა იყო გადასახდელი. ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ადვოკატ A-სთვის დამქირავებლის ადვოკატის შეთავაზება არ იყო მოსაწონი და მისაღები, მაგრამ მოცემული განცხადება არ არის მუქარის შემცველი, შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავდა ადვოკატის ღირსების შელახვას, არამედ ადვოკატმა C-მ წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია, რომ გამოიყენებდა სამართლებრივ მექანიზმს, კერძოდ მიმართავდა საჩივრით პროკურატურას იმ შემთხვევაში, თუ მის წინადადებას არ დასთანხმდებოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი.

შეკითხვის მიხედვით, დამქირავებლის ადვოკატის შეთავაზება წარმოადგენდა მუქარას და შესაბამისად, იყო რეალური საფრთხის მატარებელი და ასევე ადგილი ჰქონდა ზეწოლის მოხდენის მცდელობას და გამქირავებლის ადვოკატი არ დათანხმდა ადვოკატ C-ს მიერ შემოთავაზებულ გარიგებას, ვინაიდან ეს მისი კლიენტის ინტერესებს დააზიანებდა. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დამქირავებლის ადვოკატის განცხადება არ სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს. შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ადვოკატი პროკურატურას მიმართავდა საჩივრით კოლეგის წინააღმდეგ, არ წარმოადგენს მუქარასა და ზეწოლის მცდელობას. ადვოკატ C-ს მიერ შეთავაზებული გარიგება არ არის კოლეგისადმი ღირსების შემლახავი, არამედ გამომდინარეობს კლიენტის ინტერესებიდან პროფესიული სტანდარტების დაცვის გათვალისწინებით. თავის მხრივ, გამქირავებლის ადვოკატს შეეძლო დათანხმებულიყო ან უარი ეთქვა ადვოკატ C-ს შემოთავაზებაზე მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად.

დასკვნა:

შეკითხვაში აღნიშნული დამქირავებლის ადვოკატ C-ს მიერ შეთავაზებული გარიგება მოწინააღმდეგე მხარის ადოკატის მიმართ არ შეიცავდა მუქარას, ვინაიდან დამქირავებლის ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს ადვოკატ C-ს მიერ გამქირავებლის ადვოკატისა და მისი კლიენტის ქმედების სამართლებრივ შეფასებას, რომ მან და მისმა კლიენტმა ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივი დანაშაული, ხოლო, პროკურატურაში საჩივრის შეტანის შესახებ იფნორმაციის მიწოდება წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარისათვის წინასწარცნობას, იმის შესახებ, რომ ის სამართლებრივ მექანიზმს გამოიყენებდა იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ შემოთავაზებულ გარიგებას არ დათანხმდებოდა ადვოკატი A. დამქირავებლის ადვოკატი მოქმედებდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. კოლეგისადმი აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენს კოლეგისადმი უპატივცემულობასა და ღირსების შელახვას და შესაბამისად, ადვოკატ C-ს მიერ დაცულია პროფესიული სტანდარტი, არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კოლეგიალობის პრინციპი და მე-10 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.

კოლეგიალური ნდობის და თანამშრომლობის ვალდებულება

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.03.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/14

შეკითხვა:

სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი "B". აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მეორე ბრალდებულის ინტერესების დასაცავად საქმეში მგვიანებით ჩაერთო ადვოკატი "A".

ადვოკატ "B"-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ადვოკატ "A"-ს საქმის მასალების სრულყოფილად გასაცნობად სჭირდებოდა 10 დღიანი ვადა. ადვოკატი "A"მიიჩნევს, რომ ადვოკატ „B" -ს მიზანია საქმის განხილვა დროში გაიწელოს და ამ მიზნით ცდილობს სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს აღნიშნულთან დაკავშირებით. წარმოადგენს თუ არა ადვოკატ "B"-ს ქმედება კოლეგიალობის პრიცნიპის დარღვევას?

ანალიზი:

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი "B" მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და შეკითხვაში აღნიშნული შუამდგომლობა არ წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: **„პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება."**

დასკვნა:

განსახილველ შემთხევვაში, ადვოკატი "B" მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად, რაც არ წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას. ადვოკატ „A"-ს შეუძლია სასამართლო სხდომაზე დააფიქსიროს თავისი პოზიცია „B"-ს განცხადებებთან დაკავშირებით და დაიცვას მისი კლინტის ინტერესები.

ადვოკატისათვის შეუტყობინებლობა მისი კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების თაობაზე, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.04.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/14

შეკითხვა:

მოქმედებს თუ არა რეგულაცია ამჟამად, რომელიც ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით იყო გათვალისწინებული: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ"?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია):

„თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი (2012 წლის 08 დეკემბრის რედაქცია):

„ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება."

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

1[1].ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი 2012 წლის 08 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით ითვალისწინებდა რეგულაციას, რომლის მიხედვით, პირობითად, ადვოკატი A ვალდებული იყო შეეტყობინებინა ადვოკატ B - სთვის, თუ მას ადვოკატ B - ს კლიენტი მიმართავდა მას კონსულტაციის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების მიზნით. აღნიშნული დებულება, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რანგით მაღლა საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პროფესიული საიდუმლოების ვალდებულებას.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №094/11, დაადგინა: **„კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“**

2012 წლის 08 დეკემბერს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში შევიდა ცვლილება, რომელმაც შეცვალა აღნიშნული რეგულაცია და ეს ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“

დასკვნა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის რეგულირება: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ“, შეიცვალა 2012 წლის 08 დეკემბერს და მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“

მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაცია მხარის ადვოკატის გვერდის ავლით

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი:13.03.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/13

შეკითხვა:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-ს (შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება" (სტილდაცული ციტატა).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, რომელიც მოქმედებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, „სასამართლოში მხარის წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ სხვა ქმედუნარიანი პირები (პირები, რომლებიც არ არიან ადვოკატები კანონით დადგენილი წესით [შეკითხვის ავტორი]) - მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში".

გთხოვთ, დასაბუთებული მოტივაციით მაცნობოთ, ადვოკატს, - რომლის კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე წარმოდგენილია „სხვა ქმედუნარიანი პირით", რომელიც არ არის ადვოკატი და წარმომადგენლობას პირველი ინსტანციის სასამართლოში აწარმოებს2 გარიგებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით (დავალების ხელშეკრულებით, მინდობილობით) - ეკისრება თუ არა ზ/ხსენებული ეთიკური ნორმის დაცვის ვალდებულება, რომლის თანახმად, „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით..."

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება."

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტი: „სასამართლოში მხარეების წარმომადგენლად შეიძლება იყვნენ: ... სხვა ქმედუანრიანი პირები - მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში."

იმის განსასაზღვრად, დაირღვა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი, უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები: ურთიერთობა არის ორ ისეთ პოროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის, რომელიც წარმოდგენილია საქმეში ადვოკატით; ერთ-ერთი მხარის ადვოკატისათვის ცნობილია მეორე მხარის ადვოკატის საქმეში არსებობის შესახებ; იგი შეთანხმებით/შეუთანხმებლად დაუკავშირდა კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს; ადვოკატთან დაკავშრება ობიექტურად შეუძლებელია/შესაძლებელია.

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამომწურავად აყალიბებს ადვოკატის ცნებას და განსაზღვრავს, რომ ადვოკატი უნდა იყოს თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ უნდა ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს და არა ზემდგომ პირს. ადვოკატი აუცილებელია იყოს გაწევრიანებული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლი, შესაბამისად, მისი მე-4 ნაწილიც, განსაზღვრავს ურთიერთობას ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის. ნორმა უთითებს, რომ „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით". შესაბამისად, აღნიშნული ნაწილი არ ეხება არც ერთ სხვა პირს. ეს ფორმულირება არ გვაძლევს ფართოდ განმარტების საფუძველს, ვინაიდან ადვოკატის ცნება კონკრეტულადაა მოცემული შესაბამისი ნორმით.

ადვოკატის ცნება განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შემთხვევაში **პირი თითქოს ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას - დავალების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს მხარეს სასამართლოს პირველ ინსტანციაში, იგი არ არის ადვოკატი.** წარმომადგენელს, ისევე როგორც ადვოკატს, ევალება დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობას და უნდა იმოქმედოს მარწმუნებლის მითითებების მიხედვით, თუმცა, მას არ აქვს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შესაბამისი ლიცენზია - იგი არ არის გაწევრიანებული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“, რაც აუცილებელი პირობაა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის სინთეზური ანალიზის შედეგად გამომდინარეობს, რომ ადვოკატის მხრიდან არ მიიჩნევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კონკრეტული - მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი, თუკი მეორე მხარე წარმოდგენილია მხოლოდ წარმომადგენლით, რომელსაც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეუძლია საქმის წარმოება.

დასკვნა:

ადვოკატს, - რომლის კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე წარმოდგენილია „სხვა ქმედუნარიანი პირით“, რომელიც არ არის ადვოკატი და წარმომადგენლობას პირველი ინსტანციის სასამართლოში აწარმოებს გარიგებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით (დავალების ხელშეკრულებით, მინდობილობით), არ ეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის დაცვის ვალდებულება.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.08.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/13

შეკითხვა:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით: „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთთან დაკავშირება“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, რომელიც მოქმედებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, სასამართლოში მხარის წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ სხვა ქმედუნარიანი პირები (პირები, რომლებიც არ არიან ადვოკატები კანონით დადგენილი წესით) - მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით: „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული

სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას".

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი".

გთხოვთ, დასაბუთებული მოტივაციით მაცნობოთ, პირი, რომელიც წარმოადგენს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს და სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის პირველი ინსტანციით სასამართლო განხილვაში მის მონაწილეობას საფუძვლად არ უდევს მისი, როგორც ადვოკატის სტატუსით მონაწილეობა, სასამართლოსათვის მას არ წარუდგენია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, ასევე დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – ორდერი და საქმის სასამართლოში განხილვისას მონაწილეობს, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სხვა ქმედუნარიანი პირი" მხოლოდ სანოტარო წესით შედგენილი მინდობილობით და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ასევე წარმოდგენილია „სხვა ქმედუნარიანი პირით", რომელიც არ არის ადვოკატი და წარმომადგენლობას პირველი ინსტანციის სასამართლოში აწარმოებს გარიგებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით (დავალების ხელშეკრულებით, მინდობილობით) - ეკისრება თუ არა ზ/ხსენებული ეთიკური ნორმის დაცვის ვალდებულება, რომლის თანახმად, „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით..."

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში."

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით: „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება".

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება სასამართლოში, წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას, შესაბამისად ადვოკატი, რომელიც გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას და ვალდებულია იმოქმედოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად. მათ შორის დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი, როდესაც ის დაუკავშირდება მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც წარმოდგენილია ადვოკატით.

შეკითხვაში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებისას, სასამართლოს არ შეატყობინებს, რომ ის არის ადვოკატი და პირის ინტერესებს წარმოადგენს, როგორც „ქმედუნარიანი პირი" საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესის 94-ე

მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ეკისრება თუ არა ვალდებულება ადვოკატს დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კლიენტის წარმომადგენლობა სასამართლოში წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი პირველი ინსტანციის სასამართლოში რწმუნებულების საფუძველზე წარმომადგენლობისას ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. **ადვოკატი პროფესიული საქმიანობისას ვალდებულია იმოქმედოს კანონისა და ეთიკის ნორმების შესაბამისად.**

შეკითხვიდან ირკვევა, რომ კლიენტის ინტერესების წარმომადგენელმა არ შეატყობინა სასამართლოს, რომ ის არის ადვოკატი და შესაბამისად, არ წარუდგინა ადვოკატის მოწმობა. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ **პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელებისას, სასამართლოში ადვოკატის მოწმობის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს ადვოკატს პროფესიული ვალდებულებებისგან. ადვოკატთა ასოციაციის წევრი სასამართლოს სამივე ინსტანციაში წარმომადგენლობის განხორციელებისას ახორციელებს საადვოკატო საქამიანობას და შესაბამისად, ადვოკატი პროფესიული საქმიანობისას ვალდებულია იმოქმედოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.**

შეკითხვიდან ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველი არ არის ადვოკატი. იმ შემთხვევაში, **თუ ადვოკატი დაუკავშირდება მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის წარმომადგენლის გვერდის ავლით, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-ნაწილი, რადგან აღნიშნული ნორმის დაცვის ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავს არა „სხვა ქმედუნარიანი პირი“, არამედ ადვოკატი.**

ადვოკატის მიერ სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებისას საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ **2013 წლის 28 თებერვალს გამართულ სხდომაზე (სხდომის ოქმი №111) ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ადვოკატთა ასოციაციის წესდების, მე-15 მუხლის, 15.1 პუნქტის, „რ“ ქვეპუნტის შესაბამისად, ასოციაციის მომდევნო საერთო კრებას წარედგინოს დასამტკიცებლად აღმასრულებელი საბჭოს წინადადება, რაც ეხება ასოციაციის წევრებისათვის ბეიჯების შემოღებას. საერთო კრების მიერ აღნიშნული წინადადების დამტკიცებამდე, აღმასრულებელი საბჭოს მიერ გაკეთდა რეკომენდაცია ადვოკატების მიერ სასამართლო პროცესებზე ბეიჯებში მოთავსებული ადვოკატის მოწმობების გამოყენების შესახებ.**

დასკვნა:

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის მიერ მინდობილობის საფუძველზე წარმომადგენლობის განხორციელება წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას, მიუხედავად ადვოკატის მოწმობის სასამართლოში წარუდგენლობისა. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად, მათ შორის დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი. სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობისას ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან ამ მხარის წარმომადგენლის (რომელიც არ არის ადვოკატი) გვერდის ავლით დაკავშირებისას, ადვოკატი არ არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილს.

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/14

შეკითხვა:

თუ A არის ადვოკატი, X კლიენტი. პროცესუალური მოწინააღმდეგეა კლიენტი Y, ადვოკატი B. A უკავშირდება X - ის მოწინააღმდეგე მხარეს - Y-ს ისე რომ, B - ს თანხმობა პირადად არ აქვს მიღებული, მაგრამ Y აცხადებს, რომ მისი ადვოკატი ამ კომუნიკაციაზე თანახმაა. უნდა გადაამოწმოს თუ არა A-მ B-ს თანხმობის რეალურობის საკითხი და რა ფორმით?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი:

1. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

2. ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე- 5 მუხლი:

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლი.

1.ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.

2.პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.

მოცემულ შემთხვევაში შეკითხვა არ შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად ინფორმირებულია ადვოკატ A-ს კლიენტი მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის შესაძლო კომუნიკაციის შესახებ. ეს ინფორმაცია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან **ადვოკატი უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე და ვალდებულია დროულად მიაწოდოს მას ყველა ინფორმაცია** („ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).

გარდა ამისა, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ავალებს ადვოკატს არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით ... გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. თუ ობიექტურად შეუძლებელია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება, ბუნებრივია ადვოკატი უნდა დასჯერდეს მიღებულ ინფორმაციას და ჩათვალოს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მისი ადვოკატის ინფორმირებულობის შესახებ არის ნამდვილი. თუ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება არის შესაძლებელი, კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირებას, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს.**

კოლეგიალობის პრინციპი არ არის მარტოოდენ ფორმალური ქცევის მოთხოვნა, არამედ იგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამ პრინციპის დაცვით ადვოკატებს შესაძლებლობა ეძლევათ გადაამოწმონ კლიენტისა და მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა, საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისა და მხარეთა შესაძლო მორიგების შესახებ, თავიდან აიცილონ არასწორი კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განხილვის გართულება, ან მოჰყვეს მხარეთა და/ან ადვოკატთა შორის ურთიერთობის დაძაბვა და კონფლიქტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ადვოკატის სავალდებულო კომუნიკაცია ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგის მიმართ პატივისცემის დადასტურების შესაძლებლობაზე.

დასკვნა:

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი A უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ B-ს, თუ მასთან დაკავშირება ობიექტურად შესაძლებელია და მხოლოდ ამის შემდეგ, ადვოკატი B-ს თანხმობის შემთხვევაში უნდა შეხვდეს მოწინააღმდეგე მხარეს. იმავდროულად მოწინააღმდეგე მხარესთან შესაძლო კომუნიკაციის შესახებ დროულად უნდა იქნას ინფორმირებული მისი, ადვოკატი A-ს კლიენტი და ეს შეხვედრა უნდა შედიოდეს მის ინტერესებში.

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/14

შეკითხვა:

ადვოკატი „დ“ სასამართლოში წარმოადგენდა კლიენტ ა-ს ინტერესებს. კლიენტ ა-ს მოწინააღმდეგე მხარეს იცავდა ადვოკატი „ბ“. ადვოკატი „დ“ მისი კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების მიზნით დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს. ამ შემთხვევაში, არღვევს თუ არა ადვოკატი „დ“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ნორმას?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი: “ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.”

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა „დ“-მ იცოდა, რომ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ასევე წარმოდგენილი იყო ადვოკატით. იმ შემთხვევაში, **თუ ადვოკატი დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს, მისი ადვოკატის გვერდის ავლით, ადვოკატის მიერ დაირღვეოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი.**

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს აქვს ინფორმაცია, რომ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეც ასევე წარმოდგენილია ადვოკატით და მას აქვს შესაძლებლობა საქმესთან დაკავშირებით დაუკავშირდეს მოცემულ ადვოკატს, ის ამ ადვოკატის გვერდის ავლით არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს, რასაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს.

ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება

ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.10.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 018/13
შეკითხვა:
გთხოვთ მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება ბლანკზე და ბეჭედზე გამოვიყენო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო.
ანალიზი:
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი: „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.“
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი: „საერთო კრება დამსწრეთა უმრავლესობით, აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს ასოციაციის სიმბოლოკას.“
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ ურთიერთობაში მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ასოციაციის სიმბოლიკა. ასოციაციის სიმბოლიკის დამტკიცება ასოციაციის საერთო კრების კომპეტენციაა, ხოლო მისი შემუშავება და წარდგინება აღმასრულებელი საბჭოს მიერ ხდება. სწორედ აღნიშნული სიმბოლიკის ნაწილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო, რომელიც მიიჩნევა ადვოკატთა ასოციაციის კუთვნილებად, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება კანონით ცალსახად არ არის აკრძალული.
შეკითხვაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ვრცელი საკანონმდებლო რეგულაცია. განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია განმარტავს, თუ რამდენად მიზანშეწონილი და რეკომენდირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება სატიტულო ფურცელზე - ე.წ. “ბლანკზე”, ბეჭედზე და მსგავს ატრიბუტებზე, როგორიცაა სავიზიტო ბარათი, სარეკლამო ბანერი, მიმართვის ფურცელი, ორდერი და სხვა.
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება აქვს ადვოკატთა ერთიან რეესტრში ინდივიდუალურად რიცხულ, ასოციაციაში გაწევრიანებულ ფიზიკურ პირს. თავად ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განიხილება, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად, საკუთარი სახელით, როგორც ადვოკატთა ასოციაცია, გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში. ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირისა და საადვოკატო ბიუროს, როგორც კონკრეტული ორგანიზაციულ -სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირის გაიგივება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან დაუშვებელია. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკის შესახებ, ჰიპოთეტური შეკითხვის ფარგლებში დასმული საკითხის, ლოგოს სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე გამოყენების შემთხვევაში, მესამე პირებს შესაძლოა შეექმნათ მოსაზრება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და არა კონკრეტული ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო (ფირმა, კომპანია და ა.შ.). ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება სატიტულო ფურცელზე (ე.წ. “ბლანკი”), ბეჭედზე და სხვა მსგავს ატრიბუტებზე შეიცავს საფრთხეს, რომ კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს გაიგივება მოხდება ადვოკატთა ასოციაციასთან, რომ სწორედ ადვოკატთა ასოციაცია არის ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი.
ასოციაციის სიმბოლიკის გამოყენება კლიენტებთან, სასამართლოსთან და სხვა მესამე პირებთან ურთიერთობისას, შესაძლოა შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს ამ უკანასკნელთათვის და მათ მცდარად მიიჩნიონ, რომ კონკრეტული ადვოკატის თუ საადვოკატო ბიუროს პოზიცია, რომელიც გადმოცემულია ადვოკატთა ასოციაციის ლოგოთი დატანილ სატიტულო ფურცელზე ან სხვა დოკუმენტზე, რომელიც დადასტურებულია ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებით დამზადებული ბეჭდით, არის ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელ პირთა მრავალრიცხოვანი (დღეის მდგომარეობით ასოციაციაში 4000-მდე ადვოკატი ირიცხება) კორპორაციის ერთიანი, ასოციაციის სახელით გაცხადებული პოზიცია.
ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირის, ასევე საადვოკატო ბიუროს (ფირმის, კომპანიის და ა.შ.), როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ატრიბუტიკა და რეკვიზიტები მკაფიოდ და ცალსახად უნდა იყოს განსხვავებული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკისაგან.
ეთიკის კომისია განმარტავს, რომ **ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკის გამოყენება, სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე, სავიზიტო ბარათზე და სხვა მსგავს ატრიბუტიკაზე, არ უნდა იყოს შეცდომაში**

შემყვანი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას ღებულობს ასეთი სიმბოლიკით აღნიშნული დოკუმენტიდან. მოცემულ შემთხვევაში იმ ადვოკატის სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც იყენებს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას, არ ენიჭება მნიშვნელობა. თუნდაც სრულიად კეთილი განზრახვის არსებობისას, ადვოკატთა ასოციაციასთან მისი სიმბოლიკის გამოყენებით, ფიზიკური თუ იურიდული პირის მიერ გარკვეული კავშირის მითითებისას, მესამე პირების შეცდომაში შეყვანის რისკი არ მცირდება.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ **ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს რაიმე ფორმით გამოყენების შემთხვევაში, თუნდაც მინიმალური საფრთხის არსებობა, რომ მოხდება მესამე პირების შეცდომაში შეყვანა, არიდებული უნდა იქნეს ადვოკატთა ასოციაციის წევრის თუ საადვოკატო ბიუროს მიერ,** რომელთაც "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული ღირებულებები აქვთ გაცნობიერებული და ამ ღირებულებათა პატივისცემა და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმის დაცვა მოეთხოვებათ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო შესაძლოა ახორციელებდეს სხვადასხვა სახის ქმედებას, რომელიც არ უკავშირდება კლიენტის ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას, მაგალითად, გარკვეული ინფორმაციის შემცველი ცნობის გაცემა, რომელიც შესაძლოა აღქმული იქნეს როგორც ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული ცნობა.

ეთიკის კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ **ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა წარმოიშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე. ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო, რომელიც საკუთარ ატრიბუტიკაზე იყენებს აღნიშნულ ლოგოს, შესაძლოა მესამე პირებისათვის სარგებლობდეს სანდოობის უფრო მაღალი ხარისხით, მისი სწორედ ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოქმედ პირად აღქმის გამო, სხვა ადვოკატთან ან საადვოკატო ბიროსთან შედარებით, რომელიც არ იყენებს ასოციაციის ლოგოს, როგორც საკუთარს.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ერთიან სტანდარტებს აწესებს მისი წევრებისათვის. ადვოკატის მიერ კორპორაციული სიმბოლიკის გამოყენება ინდივიდუალური მიზნებისა და გადაწყვეტილებებისათვის, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს პოტენციურ კლიენტზე. ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას ითვალისწინებს, რომ პრაქტიკაში შესაძლოა კონკრეტული ადვოკატისა თუ საადვოკატო ბიროს მიერ მოხდეს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოთი სარგებლობა ბანერზე საინფორმაციო ბრიფინგის გამართვისას, სატიტულო ფურცელზე, საიდენტიფიკაციო მონაცემებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული მისამართის გამოყენებით და სხვა. აღნიშნული და მსგავსი შემთხვევები მაღალი ალბათობით გამოიწვევს გარკვეული პირების შეცდომაში შეყვანას და კონკრეტული ადვოკატებისა თუ საადვოკატო ბიროს გაიგივებას ადვოკატთა ასოციაციასთან.

მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით **მიზანშეწონილია, ადვოკატმა არ გამოიყენოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო. შესაძლოა სატიტულო ფურცელზე, სავიზიტო ბარათზე მითითებული იქნეს, რომ პირი არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სიითი ნომერი ერთიან რეესტრში, პირადი მისამართი, ტელეფონი და სხვა პირადი საკომუნიკაციო რეკვიზიტები. ადვოკატმა, საადვოკატო ბიურომ არ უნდა გამოიყენოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო და არ უნდა შექმნას მესამე პირების შეცდომაში შეყვანის და ადვოკატთა ასოციაციასთან გაიგივების გაუმართლებელი საფრთხე.**

დასკვნა:

ადვოკატის ან საადვოკატო ბიროს მიერ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება კანონით არ არის აკრძალული, თუმცა, ასეთი ქმედება შესაძლოა მესამე პირებისათვის იყოს შეცდომაში შემყვანი, გამოიწვიოს კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიროს გაიგივება ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციასთან და შექმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა მისი, როგორც კონკრეტული ს.ს.ი.პ. - ის განმასხვავებელია და გამოარჩევს მას სხვა იურიდიული პირებისაგან, დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ და მიიჩნევა ასოციაციის კუთვნილებად. ეთიკის კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებას სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე, სავიზიტო ბარათზე, ორდერზე, სარეკლამო ბანერზე და სხვა საშუალებებზე, სადაც ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებით, შესაძლებლია მიჩნეული იქნეს, რომ საკუთარ პოზიციას გამოხატავს ასოციაცია და არა კონკრეტული პირი.

ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული აზრი ეთიკის კომისიის 2013 წლის 15 ნოემბრის რეკომენდაციაზე ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენების თაობაზე

ვეთანხმები ეთიკის კომისიის წევრების გადაწყვეტილებას საადვოკატო ბიუროს - იურიდიული პირის მიერ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენების არამიზანშეწონილად მიჩნევასთან დაკავშირებით, (ეთიკის კომისიის რეკომენდაცია№018.13) თუმცა, არ ვეთანხმები აღნიშნულ რეკომენდაციას ადვოკატთან, როგორც ფიზიკურ პირთან მიმართებით და მიმაჩნია, რომ **ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირის მიერ, ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება იდენტიფიკაციის საშუალებებზე მიზანშეწონილია. ვინაიდან ადვოკატი არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მას არ უნდა ეზღუდებოდეს ასოციაციის ლოგოს გამოყენების უფლება სატიტულო ფურცელზე, ე.წ. „ბლანკზე", ბეჭედზე და სხვა მსგავს ატრიბუტიკაზე. ადვოკატთა ასოციაციის ლოგოთი სარგებლობისას, ადვოკატმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, სიითი ნომერი, მისამართი და მისი იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები. აღნიშნულ შემთხვევაში, არ მოხდება ამ ადვოკატისა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გაიგივება და მესამე პირების შეცდომაში შეყვანა.**

საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/14

შეკითხვა:

ადვოკატი შესაბამის საგადასახადო ორგანოებში დარეგისტრირებულია, როგორც გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი. იგი არ არის რომელიმე საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი, თუმცა, ლიცენზია მინიჭებული აქვს საერთო სპეციალიზაციით და ეწევა პროფესიულ საქმიანობას. აქვს თუ არა აღნიშნულ ადვოკატს ორდერის გამოწერის უფლება?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი."

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი 19-ე მუხლით განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. ნორმის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე (პუნქტი 1). ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, **„გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას" ადვოკატმა უნდა წარადგინოს მასზე გაცემული მინდობილობა ან ორდერი.**

კანონის აღნიშნული მუხლი არ მიუთითებს, რომ მხოლოდ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატს შეუძლია ორდერის გამოწერა. რეგულაციის მიხედვით, ორდერის ან მინდობილობის წარდგენის ვალდებულება აქვს ზოგადად ადვოკატს. საადვოკატო პრაქტიკულ საქმიანობაში ფიქსირდება ადვოკატების, როგორც გადასახადის გადამხდელი ფიზიკურ პირების მიერ ორდერის გამოწერის შემთხვევები. ადვოკატმა, ორდერის გამოწერისას, უნდა მიუთითოს, რომ საქმიანობას ეწევა როგორც ფიზიკური პირი, ასევე, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები და სიითი ნომერი.

დასკვნა:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატს, როგორც გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს, აქვს ორდერის გამოწერის უფლება, ვინაიდან რეგულაციის მიხედვით, ორდერის ან მინდობილობის წარდგენის ვალდებულება აქვს ზოგადად ადვოკატს.

საადვოკატო საქმიანობის შეჩერების საფუძველი

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.10.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/13

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი: ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.“

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი:

1. ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება შემდეგი პირები:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;

ე[1]) საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე;

ვ) საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები;

თ[1]) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

ი) საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

ი[1]) საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი და მისი მოადგილე;

კ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

კ[1]) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, დეპარტამენტების უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები;

ლ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

მ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

ნ) შემოსავლების სამსახურის უფროსი, მისი მოადგილეები და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი;

ო) გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტების, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

პ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;

ჟ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;

რ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ს) საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის წევრი;

ტ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

უ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი მოადგილე;

ფ) თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) და მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი;

ქ) თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) მერი, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებლები და მათი მოადგილეები;

ყ) საქართველოს მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;

შ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

2. ამ კანონის IV თავის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ ასევე იგულისხმება ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელთა ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის მიხედვით, ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველია ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, რომელიც მითითებას აკეთებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე. აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტში დაფიქსირებულია, თუ ვინ მიიჩნევა ამ კანონის მიხედვით „თანამდებობის პირად“. ჩამონათვალში ფიგურირებს რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი. ამავე მუხლის მეორე პუნქტში მითითებულია სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებზე, თუმცა აღნიშნული ს.ს.ი.პ. - ების ხელმძღვანელები „თანამდებობის პირებად“ ითვლებიან მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების განცხადებისა და გამოქვეყნების მიზნით. შესაბამისად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი არ ეხება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შეჩერებას.

ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობის მიზეზით ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მხოლოდ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე აკეთებს მითითებას, შესაბამისად ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელობა. სხვა შემთხვევაში, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ ხვდება ამ კანონის მე-2 მუხლში გათვალისწინებულ ჩამონათვალში, მისი ხელმძღვანელობა არ გამოიწვევს საადვოკატო საქმიანობის შეჩერებას.

დასკვნა:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობა თავისთავად არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების საფუძველი. ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება უნდა შეუჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არის იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც გათვალისწინებულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის ჩამონათვალში.

დისციპლინური სამართალწარმოების წესები:

ეთიკის კომისიის კომპეტენცია

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.10.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 022/14
შეკითხვა:
შესაძლებელია თუ არა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ განიხილოს ადვოკატის საჩივარი კლიენტის წინააღმდეგ, თუ კლიენტი აყენებს ადვოკატს ზიანს?
ანალიზი:
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი: „ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.“
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრავს საკითხებს, რომლის განხილვა შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და, ასევე, უთითებს, თუ ვის მიმართ ხდება პუნქტში ჩამოთვლილი საკითხების გამოკვლევა. კერძოდ, კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.
მოცემული რეგულაციიდან გამომდინარე, კანონით იმპერატიულად განისაზღვრება, რომ ეთიკის კომისია ამოწმებს მხოლოდ ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას და, შესაბამისად, წყვეტს მხოლოდ ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრების საკითხს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ეთიკის კომისიას არ აძლევს უფლებას განიხილოს ადვოკატის საჩივარი მისი კლიენტის წინააღმდეგ, რაც პირდაპირ გამომდინარეობს აღნიშნული ნორმიდან.
დასკვნა:
ეთიკის კომისია ვერ განიხილავს ადვოკატის საჩივარს კლიენტის ქმედებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისია განიხილავს მხოლოდ ადვოკატის მიმართ შემოსულ საჩივარს.

საჩივრით მომართვის დასაშვებობა

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.06.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/13

შეკითხვა:

ადვოკატი ავრცელებს ყალბ ინფორმაციას კონკრეტული ადვოკატების მიერ ფულის გამოძალვასთან დაკავშირებით. მან იცის, რომ ეს ინფორმაცია ცრუა, თუმცა, აღნიშნულ ქმედებას ადასტურებს როგორც საჯარო ბრიფინგის მეშვეობით, ისე სასამართლო სხდომაზე. დასაშვებია თუ არა საჩივრის შემოტანა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით? არსებობს თუ არა ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრით მომართვის პრაქტიკა და რა შედეგი შეიძლება დადგეს?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.“

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით ირღვევა მისი უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ფაქტზე ადვოკატმა საჩივრით მომართა კომისიას სხვა ადვოკატის წინააღმდეგ.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, ეთიკის კომისიის იურისტი იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

დასკვნა:

თუ ადვოკატი ავრცელებს ყალბ ინფორმაციას კონკრეტული ადვოკატების მიერ ფულის გამოძალვასთან დაკავშირებით და მან იცის, რომ ეს ინფორმაცია ცრუა, ადვოკატს შეუძლია მომართოს საჩივრით ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისიაში არსებობს კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებულ საქმეთა პრაქტიკა. დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად შესაძლოა დადგეს საჩივრის ავტორისათვის სასურველი შედეგი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

მხარეთა უფლებები დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/14

შეკითხვა:

შესაძლებელია თუ არა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ იმსჯელოს მომსახურების თანხის დაბრუნების საკითხზე? დასაშვებია თუ არა, რომ კომისიას საჩივრით მიმართოს ადვოკატმა და რა შედეგი შეიძლება დადგეს?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი: „ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.“

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით დაირღვა მისი ან მისი კლიენტის უფლებები, მას, კლიენტის თანხმობით ან, საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია საჩივრით მიმართოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. დებულების მე-10 მუხლი კი დასაშვებად მიიჩნევს წარმომადგენლობას დისციპლინურ საქმისწარმოებაში.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, წინასწარ სავალდებულოდ ვერ განისაზღვრება საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგი.კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის საქმის წარმოების ხარჯებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე განიმარტება, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს“. შესაბამისად, მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის უკან დაბრუნების საკითხის განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

დასკვნა:

ადვოკატს, როგორც პირადად, ასევე, როგორც კლიენტის წარმომადგენელს შეუძლია მიმართოს საჩივრით ეთიკის კომისიას სხვა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით რის შედეგადაც შესაძლოა დადგეს საჩივრის ავტორისათვის სასურველი შედეგი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული

თანხის უკან დაბრუნების საკითხის განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს.

ადვოკატის წინააღმდეგ. დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

მტკიცებულებათა შეგროვება

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/13
შეკითხვა:
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მიმდინარეობისას ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი?
ანალიზი:
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.“
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ მე- 17 მუხლის პირველი ნაწილი: „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ მე- 17 მუხლის მე-2 ნაწილი: „თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.“
ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ორივე მხარემ ეთიკის კომისიას უნდა წარუდგინოს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები საქმეში არსებული გარემოებების დასადასტურებლად. შესაბამისად, მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი თანაბრად ნაწილდება.
დასკვნა:
სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოებისას მხარეებს შეუძლიათ ეთიკის კომისიას წარუდგინონ მტკიცებულებები.შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორივე მხარეს შორის მტკიცების ტვირთი ნაწილდება თანაბრად.

საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

ეთიკის კომისიის ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.09.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 018/14
შეკითხვა:
შესაძლებელია თუ არა ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებაში მონაწილეობის მიღება წარმომადგენლის მეშვეობით? დასაშვებია თუ არა სხდომაზე მხოლოდ წარმომადგენლის გამოცხადება და ფიქსირდება თუ არა მსგავსი შემთხვევები ეთიკის კომისიის პრაქტიკულ საქმიანობაში?
ანალიზი:

“ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი: „მხარეებს უფლება აქვთ დისციპლინურ საქმის წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლონ ადვოკატის დახმარებით.“

ეთიკის კომისიაში მიმდინარე სამართალწარმოებისას წარმომადგენლის ან ადვოკატის დახმარებით მონაწილეობის საკითხს განსაზღვრავს “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული პირების მონაწილეობას დისციპლინურ სამართალწარმოებაში.

ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ფიქსირდება, დისციპლინური წარმოებისას, მხარის მიერ როგორც წარმომადგენლის, ასევე ადვოკატის მეშვეობით მონაწილეობის შემთხვევები როგორც დოკუმენტბრუნვის, ასევე, სხდომაზე გამოცხადების შემთხვევაში. აღნიშნული უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელია რწმუნებულება, რომელშიც დაფიქსირებული იქნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმომადგენლობის უფლება.

დასკვნა:

ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებაში დასაშვებია მონაწილეობის მიღება წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი რწმუნებულების არსებობის შემთხვევაში.

დისციპლინური სამართალწარმოების ვადები:

ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 019/14

შეკითხვა:

როგორია ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოების ვადები?

ანალიზი:

“ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-13 მუხლი:

1. საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან 1 თვის ვადაში.

2. განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 3 თვის ვადაში.

“ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი:

დისციპლინურ კოლეგიას უფლება აქვს შეაჩეროს დისციპლინური წარმოება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დისციპლინური საქმის შესწავლის პერიოდში დისციპლინური კოლეგიისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური სირთულეები (ადვოკატისავადმყოფობა, მტკიცებულებების შეგროვებისთვის საჭირო დრო, სხვ.), რის გამოც შეუძლებელია დისციპლინური წარმოების გაგრძელება;

ბ) დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით ადვოკატის ქმედებაში აშკარაა დანაშაულის ნიშნების არსებობა. ასეთ შემთხვევაში დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმის მასალები ეგზავნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს;

გ) ამავე ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომელის შედეგებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებაზე.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში დიციპლინური წარმოება ორი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე გადაწყვეტილებას იღებს საპროცესო კოლეგია, რომელიც განსაზღვრავს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის საკითხს. აღნიშნული ეტაპისათვის გათვალისწინებულია საჩივრის მიღებიდან ერთი თვის ვადა.

ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა განხილვის კოლეგიას, რომელიც მსჯელობის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის შესახებ. ამ ეტაპისათვის, დებულებით, გათვალისწინებულია განხილვის კოლეგიისათვის საქმის გადაცემიდან სამი თვის ვადა.

დისციპლინურ კოლეგიას, ასევე, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება შესაბამისი ვადით ორივე ეტაპზე, დებულების 21-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, წარმოშობილი ობიექტური სირთულის, დანაშაულის ნიშნების არსებობისა და ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებული, შედეგობრივად დაკავშირებული საქმის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა:

ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებაში, დისციპლინური დევნის აღძვრის საკითხის განხილვისას განსაზღვრულია ერთთვიანი ვადა. დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისათვის - საქმის წარმოების მეორე ეტაპზე, განსაზღვრულია სამთვიანი ვადა. ორივე ეტაპზე, ობიექტური სირთულიდან გამომდინარე, შესაძლოა შეჩერდეს საქმისწარმოება გონივრული ვადით.

www.edu.gba.ge
www.gba.ge